ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 5 ივნისი, 2023 №108 (9144) ფასი: 80 თეთრი

## საბერძნეთში 48 წლის ქართველი დააკავეს



გვ.5

# ვიქტორ ყიფიანზე ახალი ჭორი ვრცელდება. ივანიშვილი ახალ კომბინაციას ქმნის!



გვ.4

## მირიან მირიანაშვილი: „სააკაშვილი თუ შინ სამაჯურით იჯდება, ეს უკეთესი იქნება“



## „ქართული ოცნება“ მატყუარების ბრბოა, ბოლომდე უნდა გაშიშვლდნენ“

გვ.2

კახა ქემოკლიძე: „100 ათასი კარგი გონება და შრომისუნარიანი ადამიანი გაუშვეს გასულ წელს ქვეყნიდან. სამწუხაროდ, ეს პროცესი კვლავაც გრძელდება“



## „ნაციონალურ მოძრაობას სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს“



გვ.3

სოსო ცინცაძე: „გახარიას რა უნდა, ვერ გავიგე. სეზონური გამოჩენით პოლიტიკაში რომ არაფერი კეთდება, ეს მშვენივრად უნდა იცოდეს“

## „ინფლაცია შეიძლება შემცირდეს, მაგრამ ფასები მაინც არ დაიკლებს“



გვ.3

ნიკა შენგელია: „ეროვნული ბანკის მიზანია კომერციული ბანკების კარგად ყოფნა და მათთან ერთად ხალხის ძარცვა“

## საქართველოს პრემიერ-მინისტრი რეჯეფ თაიფ ერდოღანის ინაუგურაციას დაესწრო



გვ.2

**შოთა თუთბერიძე: „საფრთხეს არ წარმოვადგენდი, გამიტაცეს, მანქანაში ჩამსვეს, ხელბორკილები დამადეს და მითხრეს, რომ დაკავებული ვიყავი“**



გვ.5

199323072022 3


3 მიტროპოლიტი იაკობი: „როგორ ხარ ჩემი პარტნიორი ან მეგობარი, თუ ნახვალ, ნამოხვალ და რუსეთთან და ბელარუსთან ერთად მომიხსენიებ!“

5 რატომ მოკლეს 31 წლის ქართველი მეზღვაური ბრაზილიაში

7 კვარაცხელია სერია ა-ს საუკეთესო ფეხბურთელია

6 ბაიდენმა პუტინის წითელი ხაზები გადაკვეთა

# „ქართული ოცნება" მატყუარების ბრბოა, ბოლომდე უნდა გაშიშვლდნენ"

## კახა ქემოკლიძე: „100 ათასი კარგი გონება და შრომისუნარიანი ადამიანი გაუშვეს გასულ წელს ქვეყნიდან. სამწუხაროდ, ეს პროცესი კვლავაც გრძელდება"

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის" კითხვებს პარტია „საქართველოსთვის" გენერალური მდივანი კახა ქემოკლიძე პასუხობს.**

***– ბატონო კახა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? ვისმენთ შეფასებებს, რომ ხელისუფლება აგონიაშია. ბანერების გამო დაკავებები დაიწყო. რა სტადიაზეა მისული „ოცნების" ხელისუფლება?***

– ის ბოლო ქმედებები, რომლებიც ბოლო დღეებში დაფიქსირდა, პირდაპირ მიანიშნებს ბელორუსიზაციის ნიშნებისკენ. ამას ემატება აბსოლუტური უგუნურება და ის განცხადებები, რომლებიც გეოპოლიტიკის დონეზე პირველი კურსის სტუდენტებს არ ეშლებათ. ვგულისხმობ იმ განცხადებებს, რომლებიც პრემიერმა ასე უტიფრად გააკეთა ბრატისლავის ფორუმზე და კიდევ რამდენიმე საერთაშორისო მედიასთან. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ მათ სათქმელი არაფერი აღარ აქვთ და მიდიან იმ გზით, რა გზითაც წავიდა თავის დროზე ბელარუსის პრეზიდენტი ლუკაშენკო და მანამდე რუსეთის ხელისუფლება. ეს არის ძალიან ცუდი, ესკალაციისკენ მიმავალი გზა და ეს მიგვიყვანს სწორედაც კონფრონტაციისკენ.

***– პრემიერის ბოლო დროს გაკეთებული განცხადებები ახსენეთ. ეს ყველაფერი რამდენად მიზანმიმართულად კეთდება და რამდენად აზიანებს ჩვენს მიზანს, სწრაფვას ევროკავშირისკენ იმ ფონზე, როდესაც ველით კანდიდატის სტატუსს?***

– როდესაც პრემიერის განცხადებები მოვისმინე, აბსოლუტურად გულწრფელად გეუბნებით, პირველი, რა შეგრძნებაც გამოჩნდა, ეს იყო დიდი სირცხვილის შეგრძნება. როდესაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ხარ და წარმოადგენ სახელმწიფოს, ასეთი მაღალი დონის ფორუმზე გამოდიხარ და ლაპარაკობს აბსოლუტურ ტყუილს. რაც ძალიან საშიში და სახიფათოა, ამბობ ტყუილს, რომელსაც „არგუმენტად" იყენებს პრეზიდენტი პუტინი და ამას საქართველოს ხელისუფლება ასე უტიფრად იმეორებს, ეს არის, უბრალოდ, წარმოუდგენელი. გარდა იმისა, რომ პოლიტიკურად, გეოპოლიტიკურად დამაზიანებელია. ის სახელმწიფო, რომლის ნარატივსაც შენ იმეორებ, შენს ტერიტორიებზე გამაგრებული ოკუპანტი სახელმწიფოა. ეს არ არის რომელიღაც ტერიტორიული ერთეული, რომელიც პლანეტის სხვა მხარეს არის. სწორედ ეს სახელმწიფო არ გცნობს დამოუკიდებელ ერთეულად. შენი მოქალაქეები ჰყავს დაპატიმრებული ცხინვალის ციხეში და ამ დროს შენ რა განცხადებებს აკეთებ?!



**„თუ პოლიტიკაში შეურაცხყოფის ატანა არ შეგიძლია, მაშინ, რა გინდა პოლიტიკაში?! ვიღაცა ხან შეგაქებს, ხან გაგლანძღავს"**

***– ეს რა განაცხადი იყო პრემიერისგან, რომ არ უნდათ არც ნატო და არც ევროკავშირი?***

– დიახ, ირიბად ამას მიანიშნებდა მისი განცხადებები. იმას მიანიშნებდა, რომ თურმე ნატოს წევრობა არის ჩვენი მთავარი საფრთხე. უკაცრავად, მაგრამ მაშინ რას წერდნენ იმ კონსტიტუციაში, რა, მაშინ რუსეთი არ არსებობდა, როგორც მთავარი საფრთხე?! ეგ კითხვები მაქვს უბრალოდ. წარმოუდგენელ რამესთან გვაქვს საქმე. გამოდიან და ასე უტიფრად ტყუილებს ლაპარაკობენ. აბსოლუტურად გაუგონარი რამ ხდება.

***– რა ბედი ელის ჩვენს კანდიდატის სტატუსს?***

– ძალიან დიდ ტურბულენციაში შევდივართ. წინა პერიოდს თუ გადავხედავთ, იგრძნობოდა, რომ გვქონდა შანსი, კანდიდატის სტატუსი მიგველო, მაგრამ ამ ბოლო პროცესების ფონზე, რასაც ესენი აკეთებენ, ეს დაკავებები ხომ საერთოდ არაფერში არ ჯდება. თუ პოლიტიკაში შეურაცხყოფის ატანის შესაძლებლობა არა გაქვს, მაშინ, რა გინდა საერთოდ პოლიტიკაში?! ვიღაცა ხან შეგაქებს, ხან გაგლანძლავს, თანაც ძალიან მწარედ და, შენ თუ ამის ამტანი არა ხარ, მაშინ, წადით პოლიტიკიდან და სხვა საქმით დაკავდით! ამ ადამიანებს, უბრალოდ, ნერვები აღარ ჰყოფნით და, ერთი მხრივ, სწორედაც რომ ავტორიტარიზმისკენ მიდიან, თანაც დაიჯერეს, რომ, რუსეთის მსგავსად, ამ ავტორიტარიზმის შემნარჩუნებლები არიან. ვერ შეინარჩუნებენ! არც ნავთობი გაქვს, არც გაზი და არც ზესახელმწიფო არა ხარ და არც ატომური იარაღი გაქვს. ადამიანთა ერთი პატარა ჯგუფი ხართ, რომლებსაც, საბოლოო ჯამში, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარიც კი არა გაქვთ!

***– ეს დაკავებები და დაწყებული რეპრესიები რამდენად იქნება ქართველი საზოგადოების მოთმინების ფიალის ბოლო წვეთი? სადამდე შეიძლება კიდევ მიუშვას ხალხმა ხელისუფლება?***

– ქართველი საზოგადოება საერთოდ ძალიან მომთმენია, უკიდურესად მომთმენია. ბევრი რამის ატანა შეუძლიათ, მაგრამ ეს ყველაფერი, დარწმუნებული ვარ, წვეთ-წვეთად სადღაც გროვდება. ჩვენ ხშირად ვსაუბრობდით ხოლმე ზამბარის ეფექტზე. ნელ-ნელა ეს ზამბარა ძალიან იჭიმება. სანამ „ვარდების რევოლუცია" მოხდებოდა, შევარდნაძესაც ეგონა, რომ სტაბილურობა და მშვიდობა იყო. ადამიანებს ახსოვდათ 90-იანების ქაოსი რას ჰგავდა. ასე თუ ისე, სტაბილურობა და მშვიდობა მისაღები იყო მათთვის, თუმცა სწორედ ამან მოახდინა რევოლუცია. დღეს ამათი კორუმპირებულობა, თავგასულობა და, ამავდროულად, თავს ლაფის დასხმა ყველაფერს სცდება. უბრალოდ, საოცრებაა, შენდეროვიჩი არ შემოუშვეს საქართველოში, რომელიც ჩვენი ქვეყნის მეგობარია და ჩეჩნეთის ნახევარი აქ არის, კადიროვის მთელი გარემოცვა და აქ დროს ატარებენ. ეს რა პოლიტიკაა, მაგას მართლა ვერ ვხვდები. ეს პოლიტიკა საერთოდ არაფერში ჯდება, ყველანაირი პრაგმატიზმის მიღმაა. ეს დანებების პოლიტიკაა, სხვა არაფერი არ არის. თუ დანებებას ვაპირებდით, ან 9 აპრილი რად გვინდოდა, ან 90-იანები და ან აფხაზეთისა და ცხინვალის ომი?! რად გვინდოდა ეს ყველაფერი? დავნებებოდით თავიდანვე.

***– ამ ფონზე სად არის ოპოზიცია? რას უპირისპირებს ხელისუფლების ნაბიჯებს, როდესაც ასეთი სერიოზული საფრთხის წინაშე ვართ. ვისმენთ შეფასებებს, რომ პირდაპირ გვაბარებენ რუსეთს. სად არის ამ დროს ოპოზიცია?***

– ახლა მე ქართულ ოპოზიციას არ შევაფასებ, თუმცა გეტყვით, რა უნდა გაკეთდეს და არა მარტო ოპოზიციის, ზოგადად მედიის მხრიდან, ანალიტიკური წრეების მხრიდან. პირველ რიგში რაც უნდა გაკეთდეს, არის ის, რომ უნდა გამოაშკარავდეს „ქართული ოცნება". ბოლომდე უნდა გაშიშვლდნენ. ყველამ უნდა დაინახოს, რომ ეს ხელისუფლება ხალხს ვერ სთავაზობს ვერაფერს, მხოლოდ ტყუილსა და დემაგოგიას, სთავაზობს პოპულიზმს, რომელიც პატრიოტიზმის გემოთია გაჯერებული. ეს ადამიანები საუბრობენ თითქოს რაღაც ვირტუალურ მშვიდობაზე, სინამდვილეში კი ძირს უთხრიან მშვიდობას. რატომ არ არის ომი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში?! იმიტომ, რომ სწორედაც ყველაზე წარმატებული გეოპოლიტიკური პროექტია! რომელიც, ამავდროულად, იმის გარანტიასაც იძლევა, რომ ჩვენი ტერიტორიები მშვიდობიანად შემოვიერთოთ. ჩვენს საზოგადოებას უნდა ავუხსნათ, რომ „ქართული ოცნება" არის მატყუარების ბრბო და სხვა არაფერი! თვალებში გვიყურებენ და გვატყუებენ!

***– „ოცნების" ხელისუფლების პირობებში მივიღებთ კანდიდატის სტატუსს თუ აუცილებელი წინაპირობა იქნება ხელისუფლების შეცვლა?***

– თუ ამათ გააგრძელეს ეს უგუნურება, მე დიდი ეჭვი მაქვს, რომ ამ სტატუსს, უბრალოდ, არ მოგვცემენ! გეოპოლიტიკის ანაბანა ვისაც ესმის, იცის, რომ ევროკავშირს უფრო ნაკლებად სჭირდება საქართველო, ვიდრე საქართველოს ევროკავშირი. ევროკავშირი არაჩვეულებრივად ვაჭრობს და ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს აზერბაიჯანთან. რა, ვერ ვაჭრობენ? გაზს [illegible]ერილებენ? აზერბაიჯანს საკუთარი ენერგორესურსები აქვს და მყოფადი სახელმწიფოა. შენ არაფერიც არ გაქვს, საბოლოო ჯამში, გარდა იმისა, რომ ერთი ჩვეულებრივი ტრანზიტული დერეფანი ხარ. გარდა ადამიანური კაპიტალისა და უამრავი კარგი, გონიერი ადამიანისა, რომელსაც ნელ-ნელა უშვებ ქვეყნიდან, 100 ათასი კარგი გონება და შრომისუნარიანი ადამიანი გაუშვეს გასულ წელს. სამწუხაროდ, ეს პროცესი კვლავაც გრძელდება. საქართველოს გაცილებით მეტად სჭირდება დღეს ევროკავშირი, ვიდრე ევროკავშირს საქართველო. გვეტყვიან, როცა მიხვდებით, რომ ეს ხელისუფლება მოაცილოთ ქვეყანას ისევ თქვენი უკეთესი მომავლისა და კეთილდღეობისთვის, სწორედ მაშინ დავილაპარაკოთო.



# საქართველოს პრემიერ-მინისტრი რეჯეფ თაიფ ერდოღანის ინაუგურაციას დაესწრო

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რეჯეფ თაიფ ერდოღანის ინაუგურაციას დაესწრო. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ცნობით, ინაუგურაციის შემდეგ, მაღალი დონის სტუმრებს თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჩანქაიას სასახლეში სადილზე უმასპინძლა.

– ინაუგურაციის საზეიმო ცერემონია ანკარაში, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა. ღონისძიების სტუმრებს რეჯეფ თაიფ ერდოღანმა სიტყვით მიმართა. ინაუგურაციის შემდეგ, მაღალი დონის სტუმრებს თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ჩანქაიას სასახლეში სადილზე უმასპინძლა. ინაუგურაციის ცერემონიას 100-მდე ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა, მათ შორის იყვნენ სახელმწიფოს ლიდერები, პრემიერ-მინისტრები, ასევე მაღალი დონის დელეგაციები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, – აღნიშნულია მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



# გიგა ბოკერია: „რუსული ხელისუფლების ერთი ვასალი მეორეს ესტუმრა. საგანგაშოა, თუმცა გასაკვირი არ არის"

– რუსული ხელისუფლების ერთი ვასალი მეორეს ესტუმრა. საგანგაშოა, თუმცა არა გასაკვირი, – ასე აფასებს „ევროპული საქართველოს" თავმჯდომარე გიგა ბოკერია მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, რომ „ბათუმში კადიროველები იმყოფებიან".

როგორც გიგა ბოკერიამ აღნიშნა, ეს ფაქტი გასაკვირი არ არის, რადგან ივანიშვილის რეჟიმი ვასალური დამოკიდებულებისაა დღევანდელი რუსული ხელისუფლების მიმართ.

– რუსული ხელისუფლების ერთ-ერთი შიდა ვასალის ხალხი ესტუმრა მეორე ვასალს იმ ტერიტორიაზე, სადაც ჯერჯერობით ისინი აკონტროლებენ უსაფრთხოების აპარატს. ეს ფაქტი საგანგაშოა, თუმცა გასაკვირი არ არის, – აღნიშნა გიგა ბოკერიამ, რომლის კომენტარსაც პარტიის პრესსამსახური ავრცელებს.

ცნობისთვის, სოციალური ქსელებში გავრცელდა კადრები, სადაც ჩანს რუსულნომრიანი ესკორტის გადაადგილება. მოგვიანებით მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსული ესკორტი ჩეჩნეთის ლიდერის, რამზან კადიროვის გარემოცვის წევრს, ჩეჩენ ბიზნესმენ ასლანბეგ ახმედხანოვს ეკუთვნის.

# გიორგი ბოტკოველი: „რუსული ოცნება" მხოლოდ ერთ რამეშია მიზანდასახული – თავიდან ბოლომდე დაემსგავსოს რუსეთის ფედერაციას"

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" რეგიონული მდივნის გიორგი ბოტკოველის შეფასებით, ბოლო დღეებში სამოქალაქო აქტივისტების დაკავებები ადასტურებს იმას, რომ ხელისუფლება, რუსეთის მსგავსად, რეპრესიების გატარებას ცდილობს.

როგორც მან განაცხადა, „ქართული ოცნება" ცდილობს, თავიდან ბოლომდე რუსეთის ფედერაციას დაემსგავსოს.

– „რუსული ოცნება" მხოლოდ ერთ რამეშია მიზანდასახული და მხოლოდ ერთი რამისკენ ისწრაფვის, თავიდან ბოლომდე დაემსგავსოს რუსეთის ფედერაციას და გაატაროს ყველა ის რეპრესიები, რასაც ამ წლების განმავლობაში ატარებდა და ატარებს პუტინი. სწორედ ამას ჰგავს ზუსტად გუშინ, გუშინწინ ადამიანების დაკავების პროცესი. ეს ყველაფერი თავიდან ბოლომდე პუტინის ქმედებებს ჰგავს, რომლითაც ბოლომდე მოსპეს რუსეთში როგორც დემოკრატია, ისე სამოქალაქო საზოგადოება, ასევე არასამთავრობო სექტორი და საერთოდ ყველაფერი, თუ რამე დემოკრატიული არსებობდა, – განაცხადა გიორგი ბოტკოველმა.



ცნობისთვის, 2 ივნისს პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე აქციაზე ადმინისტრაციული წესით შვიდი პირი დააკავეს. პარლამენტთან დააკავეს ასევე ადვოკატი შოთა თუთბერიძე. ის მოგვიანებით ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს.

ISSN 1987-9385
9 771987 938006
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ახლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ნაციონალურ მოძრაობას სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს“

## სოსო ცინცაძე: „გახარიას რა უნდა, ვერ გავიგე. სეზონური გამოჩენით პოლიტიკაში რომ არაფერი კეთდება, ეს მშვენივრად უნდა იცოდეს“



„არცერთ ოპოზიციურ პარტიას არ შესწევს დღეს ძალა, „ქართულ ოცნებას“ სერიოზული კონკურენცია გაუწიოს და არჩევნებზე მოსვენება დაუკარგოს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო სოსო, ნაციონალური მოძრაობის წევრმა ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, პროდასავლური ოპოზიცია უნდა გავერთიანდეთო. რამდენად შეძლებს ოპოზიცია 2024 წლის არჩევნებზე გაერთიანებას?***

– ამ კაცს ყველაზე ნაკლებად აქვს ოპოზიციის გაერთიანებაზე საუბრის უფლება. სწორედ მან დააანონსა ნაციონალური მოძრაობის დაქუცმაცება. არავითარი შანსი გაერთიანების არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში, დღეს არ ჩანს. ასეთი შანსი იქნებოდა მაშინ, თუ ნიკა მელიას მიეცემოდა ძირეული რეფორმების საშუალება. მას ამის უფლება არ მისცეს. ის სწორად აფასებდა იმ საჭიროებებს, რაც იყო აუცილებელი. თუ ქვიშაში თავს ჩარგავ და სირაქლემის პოზიციაში იქნები, ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემა არ არის და ხალხი ამას ვერ ხედავს. რა თქმა უნდა, ნაციონალურ მოძრაობას სერიოზული რეფორმები სჭირდებოდა, საჭირო იყო ძველი ცოდვებისგან განწმენდა. ამას ხედავდა მელია და ამის საჭიროებაზეც საუბრობდა. თუ ის ამას შეძლებდა, დღეს ნამდვილად რეალური იქნებოდა ოპოზიციის გაერთიანებაზე საუბარი.

მე არ შემიძლია იმაზე საუბარი, რა ძალები ამუშავდნენ, რა მოხდა რეალურად, რატომ დაუპირისპირდნენ კეზერაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი მელიას. თუმცა, ერთი, რაც დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, ეს არის ის შედეგი, რომელიც ამ ყველაფერს მოჰყვა. შედეგი კი საგანგაშოა. პარტიას დაარსებიდან დღემდე ასეთი დაბალი რეიტინგი არ ჰქონია. არადა, სულ სხვაგვარად შეიძლებოდა, პროცესები წასულიყო. მელიას ნამდვილად ჰქონდა ის სასტარტო პირობები ციხიდან გამოსვლის შემდეგ, როდესაც თეატრალურად ხალხში გადააგდო პატიმრის სამაჯური, იმ პოპულარობის ფონზე ხალხი მას გაჰყოლოდა, ლიდერი გამხდარიყო. დღეს თუ ლიდერის პრობლემაა, ეს ნამდვილად მოიხსნებოდა 2024 წლის არჩევნებისთვის.

ნაციონალურ მოძრაობას შეეძლო გამწევი ძალის, ორთქლმავლის როლის შესრულება, მაგრამ დღეს, როდესაც ასეთი მდგომარეობაა თავად პარტიაში, ამაზე საუბარი რთულია, თან, იმ ყველაფრის შემდეგ, რაც მოხდა, ვგულისხმობ მაჭუტაძის, ჩხეიძეების, ბაჩუკი ქარდავას ქცევას. ამ ადამიანებმა მადლიერების სანაცვლოდ ნაციონალურ მოძრაობას სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს. პარტიაში ძალიან მძიმე მდგომარეობაა და რთული სათქმელია დღევანდელი გადმოსახედიდან, რა შეიძლება მოხდეს ისეთი, რომ ამომრჩეველი დაიბრუნონ.

***– ისეთ მნიშვნელოვან არჩევნებზე, როგორიც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებია, ოპოზიცია შეიძლება ასეთი მოუმზადებელი იყოს?***

– როგორც ჩანს, შეიძლება. თითქოს მათ არც კი ადარდებთ, რა მოხდება, გაიმარჯვებენ თუ დამარცხდებიან. თუ დამარცხდებიან, საერთოდ გაქრებიან პოლიტიკური ველიდან. ესეც არ ადარდებთ.

სიმართლე გითხრათ, იმედით ვუყურებდი გახარიას, მაგრამ მისი მშვიდად ყოფნა არ იძლევა ამის საფუძველს. მას შეიძლება ჰგონია, რომ „ოცნება“ თავისით დაიშლება, კობახიძე ქუდს დაიხურავს და სახლში წავა.

***– გახარიას უნდა კი საერთოდ პოლიტიკაში ყოფნა?***

– სიმართლე გითხრათ, მეც მიჩნდება ეს კითხვა. ვერ გავიგე, რა უნდა, ეს რა თამაშია. ასე ეფემერულად, სეზონური გამოჩენით პოლიტიკაში არაფერი კეთდება. არადა, ეს მშვენივრად უნდა იცოდეს.

არაფერ გარდამტეხს დღევანდელი მდგომარეობით მე არ ველოდები. არცერთ ოპოზიციურ პარტიას არ შესწევს დღეს ძალა, „ქართულ ოცნებას“ სერიოზული კონკურენცია გაუწიოს და არჩევნებზე მოსვენება დაუკარგოს. ალბათ კობახიძეს უკვე სადღესასწაულო შამპანურიც ნაყიდი აქვს, რომ გამარჯვება აღნიშნოს.

***– შეიძლება, „ოცნებამ“ კიდევ ერთხელ შეინარჩუნოს ძალაუფლება?***

– რა თქმა უნდა! თუ ასე გაგრძელდა, დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ აუღელვებლად მოიგებს არჩევნებს „ქართული ოცნება“, საერთოდ არ გაუჭირდება.

***– მიუხედავად იმისა, რომ დაღმავალი რეიტინგი აქვს?***

– დიახ. იმიტომ მოიგებს, რომ კონკურენტი არ ჰყავს.

***– რეალური ალტერნატივა?***

– დიახ. ამომრჩეველი ალტერნატივას ვერ ხედავს და ეს არის ოპოზიციის პრობლემა. ისე, მთავარი წინასაარჩევნო დებატები საგარეო კურსზე იქნება. სწორედ ამაზე ააგებს ოპოზიცია თავის წინასაარჩევნო კამპანიას, მაგრამ, რამდენად გამოუვათ? შეძლებენ კი? თან არასდროს არ ყოფილა საგარეო კურსი არჩევნების ბედის განმსაზღვრელი. ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო სოციალური საკითხები. ოპოზიციამ ვერა და ვერ მოახერხა სოციალური პრობლემატიკის ამოწევა, როგორც ეს შეძლო 2003 წელს მიხეილ სააკაშვილმა.

# „ინფლაცია შეიძლება შემცირდეს, მაგრამ ფასები მაინც არ დაიკლებს“

## ნიკა შენგელია: „ეროვნული ბანკის მიზანია კომერციული ბანკების კარგად ყოფნა და მათთან ერთად ხალხის ძარცვა“



**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ნიკა შენგელია პასუხობს.**

ნონა ცაბაძე

***– ბატონო ნიკა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის ეკონომიკურ ვითარებას ქვეყანაში? სულ ვისმენთ შეფასებებს, რომ ეკონომიკური ზრდა გვაქვს, ინფლაცია იკლებს, თუმცა ამ ფონზე ფასები სულ ზევით-ზევით მიიწევს. მოსახლეობა რატომ ვერ გრძნობს ამ ეკონომიკურ კეთილდღეობას?***

– ფასებს რაც შეეხება, ფასებმა კონკრეტულ პროდუქტებზე დაიწია, თუნდა ზეთზე, ასევე – რამდენიმე პირადი მოხმარების საქონელზე, მაგრამ ძალიან ბევრ პროდუქტზე ფასები არ დაწეულა. არ დაწეულა არც ხილ-ბოსტნეულზე. წელს ხილის ფასი იმაზე ბევრად დიდია, ვიდრე შარშან ამ პერიოდში იყო. როდესაც ეროვნული ბანკი აცხადებს, ჩვენ წლის ბოლოს გვექნება 6%-იანი ინფლაციაო, ეს, სამწუხაროდ. ვერ შესრულდება. თუკი რეგიონში დარეგულირდა რუსეთ-უკრაინის ომის საკითხი, მაშინ აქტიურად დაიწყება ჩვენი ქვეყნიდან კაპიტალის გატანა, ანუ ის, რაც შემოიტანეს რუსეთის მოქალაქეებმა, ნელ-ნელა დაიწყებენ უკან გატანას, რაც ლარის კურსზე უარყოფითად იმოქმედებს. რადგან იმპორტზე ვართ დამოკიდებული, როდესაც ლარი უფასურდება, ეს მოქმედებს პროდუქტების ფასზე. ამის საშიშროება ნამდვილად არსებობს. ასევე ფასები ვერ დაიკლებს იმის გამო, რომ თურქეთში ჩატარდა არჩევნები და ერდოღანის გამარჯვებას მოჰყვა თურქული ლირის 7%-იანი გაუფასურება.

***– და ეს ყველაფერი ჩვენს ქვეყანაზეც აისახება?***

– რასაკვირველია, ეს ინფლაცია ჩვენთანაც აისახება. თურქეთი ჩვენი ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორია. ამიტომ ფასები კვლავ გაიზრდება. კლებას ნამდვილად არ ველოდები, პირიქით, მაღალი ფასები შენარჩუნდება. მე ადრეც დავწერე, რომ ინფლაცია შეიძლება შემცირდეს, მაგრამ ფასები მაინც არ დაიკლებს. ხელისუფლების ტაშისცემა, რომ ინფლაცია მცირდება, არ ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობამ აღიქვას ეს, როგორც ფასების შემცირება. ეს არ მოხდება.

***– ლართან დაკავშირებით რას ელით?***

– ლარი, ასე თუ ისე, პოულობს თავის ნიშნულს. გრძელვადიან პერიოდში ეს იქნება 2,57-2,67-ს შორის. დაახლოებით ორი თვე ამ დიაპაზონში იმოძრავებს ლარის კურსი.

***– ახლა ტურისტული სეზონიც დაიწყო. როგორც ჩანს, ხელისუფლებას ესეც აძლევს იმედიანი განცხადებების გაკეთების საფუძველს. სულ გვეუბნებიან, რომ ეკონომიკა დუღს და ეს ხალხის ჯიბეს რატომ არ ეტყობა? მოსახლეობა ყოველდღე ღარიბდება და რით გამოიხატება ეკონომიკური ზრდა და დუღილი?***

– ხალხის ჯიბეს ეს არც დაეტყობა, რადგან ხალხის მასას შემოსავლები არ გაზრდია, ფასები კი კატასტროფულად არის მომატებული. მოსახლეობას არ ეზრდება შემოსავალი. შემოსავალი გაზრდილი აქვთ მხოლოდ ჩინოვნიკებს. როდესაც მთავრობის წარმომადგენელი ვერ გრძნობს ამას თავის ჯიბეზე, თვითონ არ იცის, რა არის გაჭირვება, დარწმუნებული ვარ, არც ის იციან, მაღაზიებში რა ფასები აქვს პროდუქტებს. ამიტომაც აკეთებენ ასეთ თამამ განცხადებებს. ეროვნული ბანკიც მიზანმიმართულ პოლიტიკას ეწევა, არც საპროცენტო განაკვეთზე ამცირებს ფასს. ეროვნული ბანკი რამდენიმე ბანკის მომსახურების სააგენტოდ გადაიქცა და ფიქრობს იმაზე, რაც შეიძლება მეტი ფული იშოვონ ამ ბანკებმა კურსის ცვალებადობის ხარჯზე. ხომ ვხედავთ, ბოლო ათ დღეში როგორ გაძვირდა ჩვენი გამყარებული ლარი.

***– ლარი თუ მყარდება, ფასები არ იკლებს. როგორც კი გაუფასურებას დაიწყებს ლარი, მაშინვე ზრდიან ფასებს და ამას ლარის გაუფასურებით ხსნიან. ეს რა პოლიტიკაა?***

– რა თქმა უნდა, ეს არის ის მახინჯი სისტემა, რომელიც დანერგა ეროვნულმა ბანკმა თავისი ფულად– საკრედიტო პოლიტიკით. არ არის ეროვნული ბანკი ის ორგანო, რომ მისი საქმიანობა ჩართული იყოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ფერხულში. დღეს ეროვნული ბანკის მიზანია კომერციული ბანკების კარგად ყოფნა და მათთან ერთად ხალხის ძარცვა.

***– თქვენი გრძელვადიანი ეკონომიკური პროგნოზი როგორია?***

– ძალიან რთული სიტუაციაა, პროგნოზიც რთულია. ყველაფერი დამოკიდებულია რუსეთ-უკრაინის ომზე. დღეს სიტუაცია შესულია ძალიან მძიმე ფაზაში. ვგულისხმობ კონტრშეტევას. არ ვიცით, რა იარაღს გამოიყენებს. თუ გამოიყენეს რაიმე მძიმე იარაღი, ეს გამოიწვევს ასევე რუბლის მკვეთრ გაუფასურებას. იცით, რომ ლირა უკვე გაუფასურებულია, ჩვენი ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორის ვალუტა. ნომერ მეორე სავაჭრო პარტნიორი რუსეთია და, რუბლიც თუ გაუფასურდა, ეს ჩვენს ეკონომიკაზეც მძიმედ აისახება. ეს გაუფასურება და ინფლაცია პირდაპირ იმპორტით გადმოგვეცემა ჩვენ. კვლავაც იქნება მაღალი ფასები, გაძვირებული ვალი და ასე შემდეგ. ახლა თუ ვინმეს ჰგონია, რომ აქ ევროპიდან ჩამოვა წელს ტურისტი, ძალიან ცდება. ევროპელი ტურისტისთვის საქართველოში მაინცდამაინც კარგი გარემო არ არის და თან ძალიან ძვირია. წელს უნდა ველოდოთ მხოლოდ რუს ტურისტებს, მით უმეტეს, ფრენები აღდგენილია, საზღვარი გახსნილია. მათ ევროპაში წასვლა არ შეუძლიათ. სად წავლენ სხვაგან? ჩამოვლენ ჩვენთან და ასევე წავლენ თურქეთში.

***– აჭარის რეგიონი ისედაც სავსეა რუსებით.***

– დიახ, ესეც ცნობილი ფაქტია. უკვე 10 ათასი ბინა აქვთ ნაყიდი. ძირითადი ტურისტული ნაკადი დააწვება თურქეთსა და საქართველოს. ბიუჯეტში ფული შევა, მოსახლეობა კი ისევ მშიერი და გაღარიბებული დარჩება, არც პენსია გაიზრდება და არც ხელფასი, ისევ თვითონ აილებენ პრემია-დანამატებს. შემოსავლები კერძო სექტორსაც საგრძნობლად გაზრდილი აქვს, მაგრამ ხელფასებს არც ისინი ზრდიან. ეკონომიკურ ზრდას გრძნობენ მხოლოდ საკუთარ ჯიბეზე. ხალხი რჩება მშიერი და ღარიბი კიდევ უფრო გაზრდილი ფასების პირობებში.

# ვინ არის მამუკა ხაზარაძის რძალი

„ლელოს“ ლიდერ მამუკა ხაზარაძის შვილი დაქორწინდა. ნიკა ხაზარაძის რჩეული ნატალია მორჩილაძეა. წყვილს ქორწილი 3 ივნისს მცხეთაში, „შატო-მუხრანში“ ჰქონდა.

წყვილის ქორწილში იმყოფებოდნენ „ბრავო რეკორდსის“ დამფუძნებელი ზაზა შენგელია და მხატვარი ქეთი მატაბელი.

ქორწილს კუბელი მომღერალი იანელა ბრუქსი და მისი ბენდი აფორმებდა. სოციალურ ქსელში ვრცელდება კადრები, სადაც ჩანს, როგორ ცეკვავს თემურ ჭყონია

# მიტროპოლიტი იაკობი: „როგორ ხარ ჩემი პარტნიორი ან მეგობარი, თუ წახვალ, წამოხვალ და რუსეთთან და ბელარუსთან ერთად მომიხსენიებ!“

– როგორ ხარ ჩემი პარტნიორი ან მეგობარი, თუ წახვალ, წამოხვალ და რუსეთთან და ბელარუსთან ერთად მომიხსენიებ, – ამის შესახებ ბოდბელი მიტროპოლიტი იაკობი საკვირაო ქადაგებისას ამბობს.



დღეს მე ახლა პირდაპირ მინდა ვთქვა, ამერიკაზე და ევროპაზე არ ვლაპარაკობ, მაგრამ დღეს მტერი ვინ არის?! ვისაც დაპყრობილი ვყავარ და ის ხალხი, რომელსაც არ უნდა, რომ თავისუფალი გავხდე. ის არის ჩემი მტერი. მარტო ის, რომ იმის მტერი ხარ, თუ მე ცუდად მექცევი, თავი მოსაფხანად ხომ არ გვაბია ქართველებს ან იმიტომ, რომ მუცელში წყალი არ ჩაგვივიდეს.

როგორ ხარ ჩემი პარტნიორი ან მეგობარი, თუ წახვალ, წამოხვალ და რუსეთთან და ბელარუსთან ერთად მომიხსენიებ. თუ 2008 წლის ომის მერე, თვითონ მაქვს ნანახი, რუსეთის მხარეს როგორ იდექით და როგორ ქილიკობდით ქართველების მიმართ ჩვენი დაღუპული და გმირი ბიჭების იმაზე, ხო?! ეკლესიას ამის უფლება აქვს, ილაპარაკოს.

2008-ში მაშინდელმა სამარცხვინო ხელისუფლების მოთავეებმა, პრეზიდენტიდან დაწყებული, ყველამ რომ მიატოვეს, თავდაცვის მინისტრი კეზერაშვილი იყო, კიდევ ვილაცებმა რომ მიატოვეს, პატრიარქმა გამოიყვანა ის ბიჭები იქიდან. თავი დავიმცირეთ რუსების წინააღმდეგ, შევედით, რომ ჩვენი ბიჭები იქ არ დაგვეტოვებინა, – ამბობს მეუფე იაკობი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვიქტორ ყიფიანზე ახალი ჭორი ვრცელდება. ივანიშვილი ახალ კომბინაციას ქმნის!

## მირიან მირიანაშვილი: „სააკაშვილი თუ შინ სამაჯურით იჯდება, ეს უკეთესი იქნება“

მარიამ მჭედლიშვილი

რამდენიმე აქტუალურ საკითხზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს მირიან მირიანაშვილს.

*– კლინიკა „ვივამედთან“ შეკრებილმა ყოფილი პრეზიდენტის სააკაშვილის მომხრეებმა მოითხოვეს მისი გათავისუფლება. მანამდე ფრანგული მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში მასზე ისაუბრა მოქმედმა პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ სააკაშვილს შეიძლება მიუსადაგონ სასჯელის მოხდის უფრო მსუბუქი ფორმა – სამაჯური. ნაცმოძრაობის ლიდერებისთვის ესეც მიუღებელია. ისინი მის გათავისუფლებას მოითხოვენ. როგორ გგონიათ, გამოიყენებენ სააკაშვილის მიმართ სასჯელის მოხდის ალტერნატიულ ფორმას?*

– არ ვიცი, თუ მიუყენებენ, ეს პოზიტივს მოიტანს იმ თვალსაზრისით, რომ შეწყდება დეზინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ „აწამებენ“ და „კლავენ“ ექსპრეზიდენტს. მას არაფერი ტრაგიკული არ სჭირს. სააკაშვილს არავინ აწამებს. ის იმყოფება კლინიკის ყველაზე ძვირადღირებულ ნომერში. მას თავს დასტრიალებს პერსონალი. აგერ, გავიგეთ, რომ ბავშვიც ჩაუსახავს პატიმრობის დროს. უკრაინელმა ლიზა იასკომ ამის შესახებ ყველას ამცნო. სააკაშვილის გარშემო ატეხილი ალიაქოთი ვითომდა და მისი საშინელი მდგომარეობის შესახებ ტრაგიკული კი არა, კომიკურია. სააკაშვილს 1991 წლის შემოდგომიდან ვიცნობ და მისგან თუ მისი გარემოცვიდან და სივრციდან უმთავრესად სასაცილო ამბები მესმის. რუსეთის დავალებების შემსრულებელი სააკაშვილი კომფორტულ პირობებშია, საქართველოს ხელისუფლებაც არაფერს გააკეთებს ისეთს, რაც რუსეთსა და რუსეთის კურატორებს გაანაწყენებს.

*– ნაცმოძრაობის წევრების განცხადებით, სააკაშვილი პუტინის პატიმარი და მძევალია. მათი თქმით, ამას საერთაშორისო საზოგადოებაც აღიარებს.*



„საქართველოში არანაირი პოლიტიკური პოლარიზაცია არ არსებობს. არის ამის იმიტაცია“

– მსოფლიოში ოდნავ მაინც ინფორმირებული ობიექტური ადამიანი ამ სიცრუეს არ გაიმეორებს. სააკაშვილის ლობისტები თუ რამეს იტყვიან, ეს არ არის საერთაშორისო თანამეგობრობა. გადაწყვეტილებების მიმღებებმა შესანიშნავად იციან სააკაშვილის რუსეთთან კავშირების შესახებ. მათ უწყიან ისიც, თუ როგორ უზრუნველყო სააკაშვილმა პუტინის დავალებით 2008 წელს საქართველოს ჯარის დამარცხება. ჩვენი სამხედროები, ჯარისკაცები ვაჟკაცობას იჩენდნენ, სააკაშვილი კი ამ დროს რუსეთის დავალებას ასრულებდა.

დაპატიმრების შემდეგ რა აღარ მოიგონეს სააკაშვილზე, ვითომ აწამებენ, შიმშილით კლავენ და ა.შ. სინამდვილეში, კლინიკის უძვირფასეს ნომერში კომფორტულ პირობებში ცხოვრობს. სახელმწიფო ამაში ჩვენს ფულს იხდის. სახელმწიფოს მისი იქ ყოფნა და მომსახურება ძალიან ძვირი უჯდება. ხელისუფლების ადგილზე გადავიღებდი ერთ კლიპს სააკაშვილის კომფორტული ადგილსამყოფლის შესახებ და მსოფლიოში გავავრცელებდი. ხელისუფლება ამას შეგნებულად არ აკეთებს. ხელისუფლება იქცევა ისე, როგორც პოლიტიკურ თეატრს სჭირდება.

მე მის გათავისუფლებას არ მოვითხოვ, მაგრამ შეიძლება ეს კარგიც იყოს. სააკაშვილი თუ შინ, დაცვის ქვეშ, დახურულ კარს მიღმა, სამაჯურით იჯდება, ეს უკეთესი იქნება: მას, მის კურატორებსა და მომხრეებს ის პიარი მაინც აღარ გამოუვათ, რომ მას აწამებენ.

*– პრემიერი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მონიჭება დაამთავრებს პოლიტიკურ პოლარიზაციას ქვეყანაში. რას იტყვით?*

– საქართველოში არანაირი პოლიტიკური პოლარიზაცია არ არსებობს. არის ამის იმიტაცია. ეს არის შეგნებული, ეთერებში გათამაშებული დაპირისპირება „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის. ორივეს აწყობს გაუთავებელი კამათი და ურთიერთბრალდებები. 20 ძირითადი ტელევიზიიდან 3 იმაზე მუშაობს, რომ გაალვივოს ეს მოგონილი პოლარიზაცია და მოახდინოს მისი ვიზუალიზაცია.

*– 2 ივნისს თბილისში პოლიციამ დაშალა და დააკავა ქუჩაში გამოსული აქტივისტები და უფლებადამცველები. ამის გამო საზოგადოების ნაწილმა ჩათვალა, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსეთისა და ბელარუსის რეჟიმების გზას დაადგა. შესაძლებელია ავტოკრატია საქართველოში?*

– ავტოკრატიის გარკვეული ნიშნები დიდი ხანია შეინიშნება. ხელოვნური პოლარიზაცია, ნაც-ქოცური დაპირისპირება რაღაც რეპრესიებსაც გულისხმობს. ამ მხრივ ავტოკრატია ისედაც არის. ამაზე მეტის თავი ამათ არა აქვთ.

*– ბოლო დროს ბევრი საუბარია ახალი პოლიტიკური ძალების შემოსვლაზე პოლიტიკურ ველზე. მმართველ პარტიასთან დაახლოებული ექსპერტები დარწმუნებით აანონსებენ ივანიშვილის ყოფილი ადვოკატის ვიქტორ ყიფიანის მიერ პარტიის შექმნას. ზაზა შათირიშვილის თქმით, ყიფიანი პოლიტიკაში ამერიკელებს შემოჰყავთ. თქვენ თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამაზე?*

– ზაზა შათირიშვილის განცხადებების სერიოზულად კომენტირება შეუძლებელია. ამერიკელები, როგორც ჩანს, მას საკუთარი ინიციატივით არ უხსენებია. ეს არის მომავალი სქემის პიარის მცდელობა.

*– ანუ პოლიტიკური ძალების ახალი განლაგების აფიშირება?*

– იგეგმება ახალი კომბინაციის გათამაშება. უნდათ ვიქტორ ყიფიანის შემოყვანა. ასეთი ინფორმაცია მაქვს, იტყვიან, თითქოს ყიფიანი ივანიშვილთან ამერიკელების მიერ იყო შეგზავნილი. ამერიკელებზე საერთოდ ბევრ ფეიკს ავრცელებენ. მაგალითად, ამბობენ, ვითომ ნაცმოძრაობის უკან ამერიკელები დგანან და ათას ასეთ უაზრობას ნერგავენ. ეს ყველაფერი არის დეზინფორმაცია. ყიფიანის შემოყვანა ამერიკელებს კი არა, ივანიშვილს უნდა.

*– თურქეთში არჩევნებამდე ამბობდნენ, რომ იქ მოხდება სისტემის გადაფორმატება. არჩევნების შედეგად თურქეთში არ შეცვლილა პრეზიდენტი. ამასთან, ერდოღანმა ყველა მინისტრი შეცვალა. რა იცვლება თურქეთსა და რეგიონში?*

– აშშ-სა და თურქეთს შორის არსებობს გარკვეული გარიგება. ეს არახალია. ადგილობრივი არჩევნების დროსაც მოხდა მორიგება და ამის შედეგად ერდოღანმა გამოაცხადა, რომ აღარ იბრძოლებდა სტამბოლისათვის. ასეც მოიქცა.

ამჟამად მიმდინარეობს ამ პოლიტიკური კურსის კორექტირება. ამის შედეგს უახლოეს მომავალში ვიხილავთ. ერდოღანის პოლიტიკური კურსის ძირფესვიანად შეცვლა ამერიკელებს არ აინტერესებთ. საუბარია იმაზე, რომ თურქეთი ტოლერანტულად შეხვდეს ამერიკულ პროექტებს რეგიონში და არ დაუშვას ანტიამერიკული კარტის გათამაშება.



# ნიკა გვარამია: „ძირს ბელოგრუზია! დიდება საქართველოს!“

– ძირს ბელოგრუზია! დიდება საქართველოს! – ამ სიტყვებს „მთავარი არხის“ დამფუძნებელი, მსჯავრდებული ნიკა გვარამია სოციალური ქსელის „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს.

გვარამია აღნიშნულით რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის წინ მიმდინარე აქციას ეხმაურება და აღნიშნავს, რომ ახლა ურთიერთწყენების დავიწყების დროა.

– რუსული რეჟიმის მიერ სუფთა ფურცლის გამო დაკავებებს ქართულმა პროდასავლურმა პოლიტიკურმა სპექტრმა და სამოქალაქო საზოგადოებამ „სუფთა ფურცლის ინიციატივით“ თუ არ უპასუხა, საქართველო დამოუკიდებლობას დაკარგავს. დაიწყეთ ერთმანეთთან ურთიერთობა სუფთა ფურცლიდან! დაივიწყეთ ურთიერთწყენები და ურთიერთპრეტენზიები! შეეშვით წარსულს და მუდმივად უკან ნუ იხედებით! კონცენტრირდით მომავალზე და იარეთ მხოლოდ წინ! საბოლოო გამარჯვება მხოლოდ ასე მოვა! ძირს ბელოგრუზია! დიდება საქართველოს! – წერს გვარამია.

# მოსკოვი დილემის წინაშე აღმოჩნდა

რუსეთის ტერიტორიაზე პარტიზანების რეიდი გრძელდება. ამბოხებულები რუსეთის მოხალისეთა კორპუსისა და თავისუფალი რუსეთის ლეგიონის წევრები არიან. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, ისინი სოფელ შებეკინოში შეიჭრნენ. ბრძოლები უკვე შებეკინოს ცენტრში მიმდინარეობს. სოფლის მოსახლეობა ან დამალულია, ან შებეკინოს ფაცხაფუცხით ტოვებს.

შებეკინოს გარდა, პარტიზანები გააქტიურდნენ კურსკისა და ვორონეჟის ოლქებში. სისტემატურად მიმდინარეობს თავდასხმები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებზე. პარალელურად უკრაინულმა უპილოტო თვითმფრინავებმა დაბომბეს ყაზანი, სარატოვი, კრასნოდარის მხარე და ა.შ.

– უკრაინელთა ამ ტაქტიკამ რუსეთი დილემის წინაშე დააყენა: მოსკოვმა საკუთარი ტერიტორიები უნდა დაიცვას ან უკრაინიდან დიდი ძალები გადმოისროლოს, – მიიჩნევს ბრიტანეთის დაზვერვა.

# ლევან ხაბეიშვილი: „სააკაშვილის გარეშე „ნაციონალური მოძრაობა“ როგორ უნდა გავიდეს არჩევნებში?“

– სააკაშვილის გარეშე „ნაციონალური მოძრაობა“ როგორ უნდა გავიდეს არჩევნებში?! ვისაც ეგეთი წარმოდგენა ჰქონდა პარტიაში, რომ მიშა სადმე არ უნდა იყოს, შესაბამისი ისტერიული შემოტევები აქვს დღეს, – ამის შესახებ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, იმაზე, რომ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, თავად ექიმები საუბრობენ.

– ყველამ კარგად გაიგოს, გარდა იმისა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, სააკაშვილი ციხეში არ უნდა იყოს. მურუსიძის, ჩინჩალაძის, დასანქცირებული მოსამართლეების მიერ გასამართლებულ ადამიანს ედავებიან „პიჯაკების საქმეს“, თურმე პიჯაკები იყიდა, „რედბული“ უყიდა ჰილარი კლინტონს, ასეთი ბრალი აქვს. ამას სამართლებრივი საფუძველი არა აქვს, – აღნიშნა ხაბეიშვილმა.

კითხვაზე, საარჩევნოდ ნაციონალური მოძრაობა კვლავ სააკაშვილით გავა არჩევნებზე თუ მის გარეშე, ხაბეიშვილი პასუხობს: „სააკაშვილის გარეშე ნაციონალური მოძრაობა როგორ უნდა გავიდეს არჩევნებზე? ვისაც ეგეთი წარმოდგენა ჰქონდა პარტიაში, რომ მიშა სადმე არ უნდა იყოს, შესაბამისი ისტერიული შემოტევები აქვს დღეს“.



მისივე შეფასებით, სააკაშვილს შეუძლია, რომ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მთავარი ლობისტი იყოს.

– მიხეილ სააკაშვილმა თქვა, რომ უკრაინის პოლიტიკაში აქტიურად ჩავერევი ჩემი ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამბობს, რომ უკრაინაში ვხედავ ჩემს თავს, რომ ჩვენს ქვეყანას მივეხმარო. მას შეუძლია, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მთავარი ლობისტი იყოს, სხვა მეორე მსგავსი არ არსებობს, – აღნიშნავს ხაბეიშვილი.

მან პარტიაში მიმდინარე პროცესებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ერთიანია, ის „ნიკა მელიას არ ეჯიბრება“, არამედ სურს, რომ „რუსული პარტიის ხელისუფლებიდან წავიდეს“.

– თუ ვინმე ვერ შეეგუა წაგებას, მარცხს, ამომრჩევლის გადაწყვეტილებას, უკაცრავად, მაგრამ წინა თავმჯდომარის წინააღმდეგ ჩვენი ამომრჩევლის 30 ათასმა ადამიანმა მისცა ხმა. მგონია, რომ ამ მდგომარეობას უნდა შეეგუონ და კონკრეტულ საქმეში მოგვეხმარონ. რაც შეეხება გაკეთებას, სამი თვეა, რაც არჩეული თავმჯდომარე ვარ. ამ ხნის განმავლობაში ვამაყობ, რომ 50 ლოჯისტიკური ცენტრი გაიხსნა რეგიონებში, მოშლილი და მორღვეული იყო. ჩვენ 63 მუნიციპალიტეტში ჩავატარეთ არჩევნები. რეგიონებში თავმჯდომარის არჩევნებში 55 ათასამდე მომხრემ მიიღო მონაწილეობა. პარტია ძლიერდება, ჯანსაღდება. სააკაშვილის თემა პრიორიტეტია. მე მელიას კი არ ვეჯიბრები, მე მინდა რუსული პარტიის წასვლა ხელისუფლებიდან, ბიძინა ივანიშვილი არ უნდა იყოს ხელისუფლებაში, – აღნიშნა ხაბეიშვილმა.

როგორც ხაბეიშვილმა განმარტა, ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ მთავარი დამარცხების გასაღები ნაციონალურ მოძრაობას აქვს.

– ნაციონალური მოძრაობა არის იდეა, ვერ დამთავრდება. ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ მთავარი დამარცხების გასაღები ნაციონალურ მოძრაობას აქვს. ეს გასაღები ნაციონალურ მოძრაობას აქვს, ჩვენთან უნდა ისაუბროს ყველამ. ენის მოჩლექით არ უნდა ველაპარაკოთ ვინმეს, მოვიდნენ და თუ უნდათ, მივეხმარებით ამ გასაღების გადამრავლებაში, რომ 5-7% მიიღონ, ხვალ-ზეგ კოალიციური მთავრობა იყოს, – აღნიშნა ხაბეიშვილმა.

# უნგრეთის მთავრობის ანტიუკრაინული გამოხდომა



უნგრეთის პრემიერმა ორბანმა განაცხადა, რომ რუსეთ-უკრაინას შორის დაუყოვნებლივ ზავი უნდა დაიდოს. ორბანის აზრით, მნიშვნელობა არა აქვს, დაკარგავს უკრაინა რაღაც ტერიტორიებს თუ არა.

პარალელურად უნგრეთში გამოქვეყნდა უკრაინის რუკა. მასზე ყირიმი არ არის გამოხატული. უკრაინის ელჩმა უნგრეთში ამის გამო ოფიციალურად პროტესტი გამოაცხადა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# შოთა თუთბერიძე: „საფრთხეს არ წარმოვადგენდი, გამიტაცეს, მანქანაში ჩამსვეს, ხელბორკილები დამადეს და მითხრეს, რომ დაკავებული ვიყავი“

– არანაირ საფრთხეს არ წარმოვადგენდი, გამიტაცეს, მანქანაში ჩამსვეს, ხელბორკილები დამადეს, მითხრეს, რომ დაკავებული ვიყავი. ბუნებრივია, არავინ მითხრა რატომ ვიყავი დაკავებული, ან რა დავარღვიე, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ადვოკატმა შოთა თუთბერიძემ განუცხადა, რომელიც 2 ივნისს პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე ადმინისტრაციული წესით დააკავეს.

როგორც თუთბერიძე განმარტავს, პოლიციელებმა ოქმში ჩაწერეს, რომ ის მათ აგინებდა და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა.

– პარლამენტის წინა ტერიტორიაზე ვიჯექი, ხელში მობილური ტელეფონი მეჭირა, ჩემ მეგობარს ვესაუბრებოდი, რა დროსაც, 10-ზე მეტი პოლიციელი პირდაპირი მნიშვნელობით, თავს დამესხა დამჯდარს. ბუნებრივია, არანაირ საფრთხეს არ წარმოვადგენდი, გამიტაცეს, მანქანაში ჩამსვეს, ხელბორკილები დამადეს, მითხრეს, რომ დაკავებული ვიყავი. არავინ მითხრა, რატომ ვიყავი დაკავებული, ან რა დავარღვიე. ისანი-ავლაბრის ტერიტორიაზე პოლიციელებს ვილაცამ დაურეკა და მითხრეს, დაკავებული კი არა, განრიდებული ხართო. ბორკილები მადევს, როგორ ვარ განრიდებული-მეთქი, უი, ბოდიშიო და ბორკილები მომხსნეს. მუდმივად ვითხოვდი განმარტებას, რატომ არ დამარეკვინეს ტელეფონზე, შემომთავაზეს „სპიკერით“ და ჩვენი ტელეფონით დაგარეკვინებთო, რაზეც, ბუნებრივია, უარი განვაცხადე. საბოლოო ჯამში, ისევ თავისუფლების მოედანზე დავბრუნდით, მეგონა, რომ მიშვებდნენ, ვილაცები შავი „შკოდებით“ მოვიდნენ, ილაპარაკეს და ბოლოს თქვეს, არა, დაკავებული ხარო, ხელმეორედ დამადეს ბორკილები, სამინისტროს შენობაში წამიყვანეს, დამიწერეს, ოქმი, რომ ვაგინებდი და ფიზიკურ შეურაცხყოფას ვაყენებდი, ამის შემდეგ ხელწერილი დამაწერინეს, რომ სასა-



მართლოში გამოვცხადდები და გამომიშვეს.

ეს რომ ვთქვი, ვილაცებს ეგონათ, ვაღიარე და ვითანამშრომლე – არა, ხელწერილი დავწერე იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოში დაბარებისას იქ გამოვცხადდები.

ადვოკატი რომც არ ვყოფილიყავი, არავის დაკავების უფლება იქ არ ჰქონიათ. დაგეგმილი აქციაც არ იყო, ეს არ იყო საპროტესტო აქცია, სადაც მივედი. როცა მე და ჩემი მეუღლე იქ მივედით, არავინ იყო, პარლამენტის წინ ვისხედით, მერე მოვიდნენ სტუდენტები. ვისხედით და პლაკატები ფეხებთან გველაგა, ეს იყო ჩვენი „დანაშაული“. ამიტომ, იქ ადვოკატი იქნებოდა თუ მოქალაქე, ყველანაირი პროფესიული კუთვნილების გარეშე, მნიშვნელობა არ ჰქონდა, არავინ არ უნდა დაეჭირათ, არავითარი კანონი არ დარღვეულა.

გულწრფელად გული დამწყდა, პოლიციელები ამ მთავრობის მონებად როგორ აქციეს. პროცესზე უნდა მოიყვანონ და ალაპარაკონ ტყუილები, რომ ვაგინე და სიტყვიერი, ფიზიკური შეურაცხყოფა მივაყენე, ალბათ, აღმოჩნდება, რომ კამერების ჩანაწერებიც წაშლილია. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი პრობლემები მაქვს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და, ვფიქრობ, ძირეული ცვლილებებია საჭირო, ძალიან დიდ პატივს ვცემ ყველა პოლიციელს, ბევრი ახლობელი მყავს. ისინი ჩვენი მეზობლები, მეგობრები, ოჯახის წევრები არიან და მათ ჩვენი მთავრობა მონებად, ზონდერებად ამუშავებს, იციან, რომ უკანონო ბრძანებებს ასრულებენ, იძულებული არიან, შეასრულონ, – განაცხადა თუთბერიძემ.

ცნობისთვის, ადვოკატი შოთა თუთბერიძე პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე აქციაზე ადმინისტრაციული წესით დააკავეს. ის მოგვიანებით ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს. შოთა თუთბერიძის გარდა, აქციაზე სამართალდამცავებმა ადმინისტრაციული წესით კიდევ 7 პირი დააკავეს. მათი სასამართლო პროცესები, სავარაუდოდ, დღეს და ხვალ ჩატარდება.

# საბერძნეთში 48 წლის ქართველი დააკავეს



საბერძნეთში დააკავეს 48 წლის ქართველი, რომელმაც ქვეყნის 12 რეგიონში 37-ჯერ გაქურდა სუპერმარკეტები. ინფორმაციას ბერძნული მედია ავრცელებს.

არსებული ინფორმაციით, კაცი პოლიციამ მაღაზიიდან მორიგი ქურდობის დროს დააკავა. მოპარული პროდუქცია მას სუპერმარკეტში დააბრუნებინეს. შემდეგ გაირკვა, რომ მან ბოლო ორი კვირის განმავლობაში კიდევ 6 სუპერმარკეტი გაქურდა აჩაიაში, ატიკასა და კორინთიაში.

წინასწარი გამოძიების დროს გაირკვა, რომ ქართველმა დამნაშავემ საბერძნეთის 12 სხვადასხვა რეგიონში სუპერმარკეტები გაქურდა და გაურკვეველი რაოდენობის პროდუქცია მოიპარა. მის წინააღმდეგ განმეორებით ქურდობის ფაქტზე საქმე აღიძრა.

# სასამართლომ ლაზარე გრიგორიადისის მამას, ბექა გრიგორიადისს, 2.000-ლარიანი გირაო დააკისრა



მარტის აქციების მიმდინარეობისას დაკავებული ლაზარე გრიგორიადისის მამა, ბექა გრიგორიადისი, მოსამართლემ 2.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ ბექა გრიგორიადისის ადვოკატმა ლაშა ტყეშელაძემ განაცხადა, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არაპროპორციულია და ის აუცილებლად გასაჩივრდება. ინფორმაციისთვის, ბექა გრიგორიადისი 1 ივნისს პარლამენტის შენობასთან სამართალდამცავებისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით დააკავეს.

# სასამართლომ ხელვაჩაურში ძმის მკვლელობისთვის ბრალდებულს პატიმრობა შეუფარდა



ხელვაჩაურში ძმის მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ პირს ბათუმის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

ბრალდებულის ადვოკატი სასამართლოს 10 ათასი ლარის ოდენობით გირაოს სთავაზობდა. მოსამართლე ნინო სახელაშვილმა პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

ცნობისთვის, 2 ივნისს ხელვაჩაურში ძმამ ძმა სანადირო თოფით მოკლა. მამაკაცი სამართალდამცავებმა ცხელ კვალზე დააკავეს. როგორც ცნობილია, მკვლელობას წინ შელაპარაკება უძღოდა.

# რატომ მოკლეს 31 წლის ქართველი მეზღვაური ბრაზილიაში



31 წლის ქართველი მეზღვაურის მკვლელობისთვის დაკავებული ბრაზილიელი ძებნილია, რომლის სახელი 9 სხვა მძიმე დანაშაულში ფიგურირებს. ის პოლიციამ სათვალთვალო კამერების გაშიფვრის შემდეგ დააკავა. ჩხრეკისას მას მოკლულის პირადი ნივთები და საბანკო ბარათები აღმოაჩნდა. ილია კახაბერიძის ცხედარი სასტუმროს პერსონალმა ნომერში აღმოაჩინა. ის ლოგინზე იყო მიბმული, სასტიკად ნაწამები და სისხლისგან დაცლილი. ახალგაზრდა კაცი, რომელიც ბრაზილიაში სამოგზაუროდ იყო წასული, ადგილობრივი კრიმინალის მსხვერპლი გახდა.

# ათდღიანი ძებნის შემდეგ ბორჯომელი ახალგაზრდა გარდაცვლილი იპოვეს

ბორჯომელი ახალგაზრდა 10-დღიანი ძებნის შემდეგ სოფელ გომთან გარდაცვლილი იპოვეს. ინფორმაციას „სამხრეთის კარიბჭე“ ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციით, წყლიდან გამორიყული ცხედარი, სავარაუდოდ, მწყემსმა ნახა.

ვახო მეტრეველს მაშველები 22 მაისიდან ეძებდნენ. სწორედ ამ დღეს, გამთენიისას, საკუთარ სახლში გარდაიცვალა მისი ძმა, ბორჯომელი ბიზნესმენი ნიკოლოზ მეტრეველი.

ცნობისთვის, ნიკოლოზ მეტრეველისგან ქრთამის სახით დიდი ოდენობის თანხის მითვისება 2020 წელს ბორჯომის ყოფილმა მერმა ლევან ლიპარტიამ და გიორგი გოგიჩაიშვილმა ცადეს. ამ ფაქტის გამო მუნიციპალიტეტის პირველი პირები დააკავეს.

გასული წლის 3 ნოემბერს ბორჯომში მეტრეველის ავტომობილი დაიწვა. მაშინ ადგილობრივები აცხადებდნენ, რომ ბიზნესმენის მანქანა მიზანმიმართულად დაწვეს.

# ახალციხეში ყირიმ-კონგოს ცხელებით ექიმი გარდაიცვალა



– ახალციხის სოფელ წყალთბილაში ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელებით ექიმი გარდაიცვალა, – ინფორმაციას რეგიონული მედია „სამხრეთის კარიბჭე“ ავრცელებს.

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამცხე-ჯავახეთის განყოფილებაში აცხადებენ, ექიმმა კლინიკას დაგვიანებით მიმართა და მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

კაცი ჯერ ახალციხის რეფერალურ ჰოსპიტალში, შემდეგ კი თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება ლუგარის ლაბორატორიამ დაადასტურა.

დადასტურებიდან ორ დღეში, პირველ ივნისს, პაციენტი გარდაიცვალა.

3 ივნისის მონაცემებით, მიმდინარე წელს ყირიმ-კონგოს ცხელებით სამცხე-ჯავახეთში 8 ადამიანი დაავადდა.

# ავტოავარიას 1 წლამდე ბავშვი ემსხვერპლა

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ქვალონში ავტოსაგზაო შემთხვევას 1 წლამდე ბავშვი ემსხვერპლა.

არსებული ინფორმაციით, ავტოსაგზაო შემთხვევისას რამდენიმე ადამიანი მსუბუქად დაშავდა.

მცირეწლოვანი ჯერ ხობის, შემდეგ კი ქუთაისის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ის ქუთაისის საავადმყოფოში შეყვანამდე გარდაიცვალა.



# ეროვნული კინოცენტრი გაგა ჩხეიძისთვის გოეთეს მედლის გადაცემას ეხმაურება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

მატოგრაფიის ეროვნული ცენტრის შესაბამისობისა და ფინანსური აუდიტის ანგარიშის“ საფუძველზე, რაც მოიცავს 2019-2020 წლებში მის მიერ გაწეული საქმიანობის შეფასებას. სწორედ ამ აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლინდა კინოცენტრის დირექტორის გაგა ჩხეიძის მიერ ფინანსური რესურსის კანონმდებლობასთან სრულიად შეუსაბამო ხარჯვის ფაქტები, კინოცენტრში არსებული ფინანსური მართვის სისტემის სერიოზული ხარვეზები, შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის სისტემატური ხასიათი, ნეპოტიზმი, კონტროლის სისტემის არარსებობა და მრავალი სხვა.

გამოვლენილი დარღვევების კვალიფიკაციის შესაბამისად, გაგა ჩხეიძის საქმიანობის შემსწავლელი აუდიტის დასკვნა გადაეგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურას შემდგომი რეაგირებისთვის. შედეგად, საქართველოს გენერალური პროკურატურის კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოში დაიწყო გამოძიება (სს № 074020522803) კინოცენტრის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შესაძლო დანაშაულის ნიშნებით.

გამომდინარე აქედან, გაგა ჩხეიძის სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზად დასახელებული ბრალდებები, თითქოსდა რუსეთ-უკრაინის ომთან მის მიერ საჯაროდ გამოხატულ პოზიციასთან დაკავშირებით, უსაფუძვლოა, სიცრუეა და არანაირი კავშირი არა აქვს არც ელემენტარულ სიმართლესთან და არც მორალთან.

ამ თემით დაინტერესებული საზოგადოებისათვის ალბათ მნიშვნელოვანი იქნება იმის გაგებაც, რომ კინოცენტრმა თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი, რომლის დირექტორიც თავად გაგა ჩხეიძეა, 2022 წელს დააფინანსა 150.000 ლარით, ხოლო 2023 წელს – 125.000 ლარით. იგივე ფესტივალი, კინოცენტრთან ერთად, დააფინანსა 2021 წელს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომაც 47.000 ლარით. უმარტივესი კითხვა იბადება – თუკი კინოცენტრი უკრაინას არ უჭერს მხარს (გოეთეს ინსტიტუტის სტატიის

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
Georgian National Film Center

ავტორთა ლოგიკით) და ამ მიზეზით „ჩაგრული“ გაგა ჩხეიძე თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან, ამავე გაგა ჩხეიძეს ფესტივალს რატომ უფინანსებს? ასევე, თუ კინოცენტრი და კულტურის სამინისტრო არ უჭერენ მხარს უკრაინას (გოეთეს ინსტიტუტის სტატიის ავტორთა ლოგიკით), ხოლო გაგა ჩხეიძე უკრაინის თავდაუზოგავი მხარდამჭერია, რატომ იღებს ის მნიშვნელოვანი ოდენობის თანხებს თავისი ფესტივალისათვის სწორედ ამგვარი სახელმწიფო ორგანიზაციებისაგან?!

დანარჩენი თავად საზოგადოებამ განსაჯოს, მიუხედავად იმისა, რომ უფრო მეტი შეიძლება ითქვას იმ ე.წ. ღვაწლზე, რომელიც, გოეთეს ინსტიტუტის სტატიის ავტორებს თუ დავუჯერებთ, გაგა ჩხეიძეს ჰქონია ქართული კინოსა და კინოინდუსტრიის წინაშე. გაგა ჩხეიძის ვითომდა ღვაწლის მორიგ თვალსაჩინო მაგალითად, გარდა აუდიტის ზემოხსენებულ დასკვნაში მოყვანილი სერიოზული კანონდარღვევებისა, მის მიერ თბილისში, ალმაშენებლის გამზირზე, იქ, სადაც იშვა ქართული კინო, „ქართული ფილმის“ ტერიტორიის განვითარების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯებიც იკმარებდა.

ზემოაღნიშნული ცრუ და ყოვლად მიუღებელი ბრალდებების ფონზე, კინოცენტრი იტოვებს უფლებას, გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება გაგა ჩხეიძის დირექტორობით ჩატარებული კინოფესტივალის დაფინანსების გაგრძელების თაობაზე.

**დავით დავითიანი, ეროვნული კინოცენტრის თანამშრომელი:**

– როგორც თანამშრომელი, ვემიჯნები კინოცენტრის მიერ გამოქვეყნებულ პოსტს. ეს პოსტი არ წარმოადგენს კინოცენტრის თანამშრომლების პოზიციას. ასევე ფაქტი, რომ ერთი ორგანიზაციის სახელით სხვა ზემდგომი ორგანიზაცია ფეისბუქზე მსგავს ტექსტს დებს, არის სრულიად სამარცხვინო, იმ სხვა სამარცხვინო ამბებთან ერთად, რაც ბოლო დროს მოხდა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# როდის მიიღებენ უკრაინას ნატოში?



რუსეთ-უკრაინის ფრონტზე დაიწყო ესკალაცია. რუსეთმა გააააქტიურა კიევის დაბომბვები. უკრაინის დედაქალაქს უკვე ლამის ყოველდღე ბომბავენ.

ყოველ ქმედებას უკუქმედება მოსდევს. რუსეთის დაბომბვებსაც რუსეთის ტერიტორიაზე დარტყმები მოჰყვა. ბელგოროდის, კურსკის, ვორონეჟის ოლქებზე დარტყმებს დაერთო სარატოვის, ყაზანის, კრასნოდარის მხარეებზე დარტყმებიც. ყველაფრის კულმინაცია კი მოსკოვზე განხორციელებული დრონებით შეტევა იყო. მას მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა გვარიანად დააფეთა რუსები და პირადად დიქტატორი პუტინი. ერთ-ერთი დრონის ნამსხვრევი რუსეთის დიქტატორის რეზიდენციასთან ახლოს აფეთქდა.

– რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ესკალაცია დაიწყო! ახლო მომავალში ეს პროცესი გაძლიერდება, – იტყობინება ტელეკომპანია მე-5 არხი.

ამრიგად, ევროპაში ფართომასშტაბიანი ომის საფრთხე ნათლად გამოიკვეთა. როგორ ავიცილოთ ის თავიდან? ეს კითხვა მთელი სიმწვავით დადგა. აშშ-ის ექსპრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა:

– უკრაინა ნატოსა და ევროკავშირში უნდა მივიღოთ, მაგრამ პუტინის ინტერესებიც გავითვალისწინოთ!

შეკითხვაზე, პუტინის ინტერესების გათვალისწინებაში რას გულისხმობს, ტრამპმა მიუგო: რუსეთს უნდა დარჩეს ის ტერიტორიები, რომლებიც დე ფაქტოდ დღეისათვის აქვს ოკუპირებული. კერძოდ, დონბასის, აგრეთვე ზაპოროჟიე-ხერსონის ოლქების ნაწილიც.

– მე არ ვამბობ, რომ ეს მიწები რუსეთის ნაწილად უნდა ვაღიაროთ! აუცილებელია მხოლოდ კონფლიქტის გაყინვა და მისი იქ შეჩერება, სადაც დღეს ფრონტის ხაზი გადის, – თქვა ტრამპმა.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა კულებამ ტრამპს ცივი წყალი გადაასხა. მან თქვა, რომ რუსეთ-უკრაინას შორის მშვიდობა მხოლოდ მას შემდეგ აღდგება, როცა უკრაინას ნატოში მიიღებენ.

უკრაინელი მინისტრის ამ გამოსვლას ნატოს გენერალური მდივნის სტოლტენბერგის პასუხი მოჰყვა. მან თქვა, რომ უკრაინა ნატოს წევრი აუცილებლად გახდება და ეს უკვე უახლოესი ერთი-ორი წლის ამბავია. ამავე დროს, ნატოს გენერალურმა მდივანმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ დღეს, როცა ომი მიმდინარეობს, უკრაინის ნატოში მიღება გამორიცხულია, რადგანაც ეს ნიშნავს ნატოს ჩათრევას ომში.

დღეს საუბარია მხოლოდ უკრაინა-ნატოს კიდევ უფრო დაახლოებაზე, იმაზე, რომ ნატომ უკრაინას მეტი შეიარაღება მიაწოდოს. სავარაუდოდ, ნატოს სამიტი ვილნიუსში ამ დაახლოებას ხელს შეუწყობს. როგორც ჩანს, ვილნიუსის სამიტზე უკრაინას გადასცემენ კონკრეტულ გრაფიკს ნატოში გასაწევრიანებლად. ესაა მაქსიმუმი, რისი მოცემაც ნატოს უკრაინისთვის შეუძლია დღეს.

რაც შეეხება უკრაინის ნატოში მიღებას, ეს უახლოესი 1-2 წლის ამბავია. აქტუალურია მხოლოდ ერთი: რა საზღვრებით შევა უკრაინა ნატოში? ეს საკითხი ბრძოლის ველზე გადაწყდება.

# ზელენსკი: „უკრაინული არმია კონტრშეტევისათვის მზადაა!“

უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ განაცხადა, რომ უკრაინული არმია კონტრშეტევისათვის მზადაა. ამავე დროს, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ უკრაინამ იმდენი იარაღი ვერ მიიღო, რისი იმედებიც იყო.

უკრაინის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მიზნები არ შეცვლილა: უკრაინის საზღვრების აღდგენა 1991 წლის ფარგლებში.

# ლუკაშენკო თავის რეპერტუარშია



ბელარუსის თვითმარქვია პრეზიდენტმა ლუკაშენკომ უკრაინაში რუსეთის აგრესია გაამართლა. მან თქვა, რომ დამოუკიდებელი უკრაინა საფრთხეს წარმოადგენს როგორც რუსეთისათვის, ისე რუსეთ– ბელარუსის სამოკავშირეო სახელმწიფოსათვისაც.

– უკრაინაში ჯარის შეყვანა ჯერ კიდევ 2014-15 წლებში იყო აუცილებელი, – აცხადებს ლუკაშენკო.

ლუკაშენკო კვლავ იმეორებს, რომ სახალხო პრეზიდენტია. ის ზელენსკის ჭკუასაც ასწავლის:

– ზელენსკიმ დაუყოვნებლივ უნდა გამოაცხადოს კაპიტულაცია და პუტინის ყველა პირობას დათანხმდეს. ეს ერთადერთი საშუალებაა უკრაინელთა სიცოცხლის გადასარჩენად! – ამბობს ლუკაშენკო.

# ბაიდენმა პუტინის წითელი ხაზები გადაკვეთა



რუსეთის დიქტატორმა პუტინმა აშშ-უკრაინის ურთიერთობის საკითხებში წითელი ხაზები მოხაზა. პუტინმა განაცხადა, რომ: 1) აშშ-მ არ უნდა გადასცეს უკრაინას რაკეტები; ბ) არ გადასცეს ავიაცია; დ) არ გადასცეს ტანკები.

ბაიდენი თავდაპირველად ყოყმანობდა, შემდეგ ნელ-ნელა ამ წითელი ხაზების გადაკვეთა დაიწყო.

– ბაიდენმა გადასცა უკრაინას ჰაიმარსის ტიპის რაკეტები და ტანკები. უკვე გადაწყვეტილია ფ-16-ის ტიპის ავიაგამანადგურებლების გადაცემაც, – წერს „ვაშინგტონ პოსტი“.

პუტინის მუქარა, რომ „წითელი ხაზების“ გადაკვეთის შემთხვევაში რუსეთი მესამე მსოფლიო ომს დაიწყებდა, ცარიელ სიტყვებად დარჩა.

– ბაიდენი დარწმუნდა, რომ უკრაინელი ხალხი წინააღმდეგობას გაუწევდა დამპყრობელს. დახმარებამაც არ დაახანა. პუტინმა კი ამერიკელების წინაშე უკან დაიხია, – წერს „ვაშინგტონ პოსტი“.

# რუსეთი უკრაინის დაბომბვის მცდელობებს განაგრძობს

რუსეთმა უკრაინის დაბომბვა კვლავ ცადა. მტერმა უკრაინის მიმართულებით 4 ფრთოსანი რაკეტა და 3 შაჰედი გაუშვა. რუსებმა რაკეტები როგორც ბრიანსკის ოლქიდან, ისე კასპიის ზღვის სანაპიროდანაც გაუშვეს.

# უკრაინული არმია ბახმუტში წინსვლას განაგრძობს



როგორც ცნობილია, მთელი რუსული მედია აჭრელებულია ბახმუტის აღების ცნობით. ამავე დროს, თვით რუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ნებსით თუ უნებლიეთ, ამ ტყუილს აბათილებენ. ასე მაგალითად, დონბასელ სეპარატისტთა საიტი „რუსსკაა ვესნა“ აღიარებს, რომ ბახმუტში ბრძოლები გრძელდება. ე.წ. დონეცკის რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა გასულ დღეს ბახმუტში დიდძალი ცოცხალი ძალა და სამხედრო ტექნიკა დაკარგეს. ისმის კითხვა: თუ ქალაქი აღებულია, როგორ გაანადგურეს იქ მტრის სამხედრო ტექნიკა და დიდძალი ცოცხალი ძალა?

– ამაზეა ნათქვამი: ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ფირმა „ვაგნერის“ ბანდების შეფმა პრიგოჟინმა განაცხადა, რომ ბახმუტში უკრაინელი ჯარისკაცები რჩებიან. ისინი ქალაქის დაახლოებით 10%-ს აკონტროლებენ. აქამდე პრიგოჟინი ამბობდა, რომ ბახმუტის 100%-ს აკონტროლებდა.

– რადგან უკრაინას სურს, რომ თავისი ჯარისკაცები ბახმუტის ნანგრევებისათვის გაწიროს, დაე, ასე იყოს! სამხედრო თვალსაზრისით უკრაინული არმიის ბახმუტის ნაწილში ყოფნას არავითარი აზრი არა აქვს! – აცხადებს პრიგოჟინი.

უკრაინული არმია ბახმუტში წინსვლას განაგრძობს. რუსმა ოკუპანტებმა რამდენიმე ქუჩა უბრძოლველად დათმეს და უკან დაიხიეს.

ამრიგად, ბახმუტი არ არის აღებული. ქალაქი დაინგრა, მაგრამ ბრძოლას განაგრძობს და ამას უნებლიეთ უკვე მტერიც აღიარებს.

ბახმუტის გარდა, ბრძოლები დონბასის დანარჩენ ტერიტორიაზეც მიმდინარეობს. ტრადიციულ ცხელ წერტილებში, ისეთებში, როგორიცაა ავდეევკა და მარინკა, ერთგვარი სიმშვიდე იყო. ოკუპანტები აქტიურ შეტევით ოპერაციებს არ ახორციელებდნენ და ძირითადად დაბომბვას სჯერდებოდნენ. ფრონტის ამ უბანზე ვითარებაც შედარებით მშვიდია.

მდგომარეობა დაიძაბა უგლედართან. უკრაინულმა არმიამ რუსების დაცვის ზონა გაარღვია და ვოლნოვახასაკენ გაიჭრა. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, უკრაინული არმია ვოლნოვახასაგან უკვე 12 კმ-ის დაშორებით იმყოფება.

უკრაინის სამხრეთში ბრძოლები ჯერჯერობით პარტიზანულ ხასიათს ატარებს. ზაპოროჟიეს ოლქის სოფელ მიხაილოვკაში ნაღმზე აფეთქდა ადგილობრივი კოლაბორაციონისტის გოროდოვიუკის მანქანა. თავად გოროდოვიუკი ადგილზევე გარდაიცვალა, მისი ორი თანამგზავრი კი მძიმე მდგომარეობაშია.

აფეთქებათა სერიები გრძელდება ხერსონის ოლქის ოკუპირებულ ნაწილში, აგრეთვე მარიუპოლში, ბერდიანსკში, სიმფეროპოლში, სევასტოპოლში, ჯანკოიში, ფეოდოსიაში და ა.შ. ოკუპანტების რიგებში დიდძალი მსხვერპლია. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, დაღუპულია 209.470 რუსი ჯარისკაცი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**



# ეროვნულმა ლიგამ ნახევარი გზა გაიარა



ეროვნული ლიგის მეორე წრეც დასრულდა. მე-18 ტურში ვნახეთ ორი შვიდგოლიანი თამაში და საერთოდაც უხვგოლიანი ტური გამოდგა.

**დინამო (ბთ)-ტორპედო 1:1**

**ბათუმი. აჭარაბეთ არენა**

**1:0 მამუჩაშვილი (84პ), 1:1 შერგელაშვილი (90)**

**დინამო:** ჩიჩკანი, მამუჩაშვილი, კობახიძე, ბალიჩი, გიორბელიძე, ტეიდი, ალთუნაშვილი (მოსიაშვილი 90), ლუდუშაური (იაკობსენი 81), ბიძინაშვილი (კონატე 46), ზარია (ლიტვინენკო 81), ფლამარიონი (თ.კაპანაძე 88)

**ტორპედო:** გოშაძე, ქობულაძე (მონტეირო 90), მჭედლიშვილი, სანდოხაძე, ნადარაია, შერგელაშვილი, ნეტო (მანჯგალაძე 60), გიგაური, გ.კუხიანიძე (სამურკასოვი 66), არაბიძე, ბულრიძე (კაიკე 60)

**გაძევება:** მჭედლიშვილი (78)

ლიდერმა დინამო ბათუმმა შინ ქულები დაკარგა – ქუთაისის ტორპედოსთან 1:1 ითამაშა. რიონისპირელებმა ბოლო ხუთ ტურში პირველი ქულა აიღეს.

მატჩისას სიტუაცია განსაკუთრებით 78-ე წუთზე დაიძაბა, როცა არბიტრმა გიორგი ავაზაშვილმა ტორპედოელი გიორგი მჭედლიშვილი ორი ყვითელი ბარათის გამო გააძევა. არადა, ძალიან საკამათო სიტუაცია იყო...

მალევე დინამო ბათუმის სასარგებლოდ პენალტი დაინიშნა, რომელიც ჯოვინო ფლამარიონმა მოიპოვა. ვლადიმერ მამუჩაშვილმა გაიტანა და 1:0... ესეც საკმაოდ საკამათო სიტუაცია იყო...

მსაჯის მიერ კომპენსირებული მე-7 წუთი მიმდინარეობდა, როცა სტუმრებმა გაათანაბრეს: საჯარიმო დაინიშნა, ლაშა შერგელაშვილმა კი ზუსტად შეასრულა, მცირე რიკოშეტიც დაეხმარა და 1:1.

ბათუმელები ერთი ქულით უსწრებენ მეორეადგილოსან საბურთალოს, ტორპედო კი მეექვსეზე დარჩა.

**საბურთალო-დინამო (თბ) 2:1**

**რუსთავი. სფფ ტექნიკური ცენტრი**

**1:0 ტაბატაძე (72პ), 2:0 ნონიკაშვილი (88პ), 2:1 მაისურაძე (90)**

**საბურთალო:** კუპატაძე, ც.კაპანაძე, ი.გელაშვილი, ჯგერენაია, ჯინჯოლავა, ქარდავა, ო.მამაგეიშვილი (შ.ნონიკაშვილი 68), ლ.ნონიკაშვილი (გოშთელიანი 79), გ.მამაგეიშვილი (სილაგაძე 56), ტაბატაძე (ციცქიშვილი 79), სიხარულიძე (სილა 56)

**დინამო:** კერესელიძე, მალი, ხვადაგიანი, ტაბიძე, ლაკვეხელიანი (მაისურაძე 56), მექვაბიშვილი (ვაგნერი 75), ოსეი (სიგუა 53), ხარაიშვილი, იმრანი (მოისწრაფიშვილი 53), კამარა, სხირტლაძე

11-მატჩიანი წაუგებელი, 5-მატჩიანი მოგებათა სერია. საბურთალო მეორე ადგილზეა. ამჯერად თბილისურ დერბიში დინამოს მოუგო – 2:1.

დინამო თბილისი კი მეხუთე საფეხურამდე დაქვეითდა და ლიდერს 8 ქულით ჩამორჩება.

პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა, მეორე ნახევარში კი სამი ბურთი გავიდა: 72-ე წუთზე დინამოელთა მეკარე დავით კერესელიძემ იური ტაბატაძე წააქცია, დაინიშნა პენალტი და ტაბატაძემ თავად დაარტყა ზუსტად.

საბურთალომ მეორე ბურთიც პენალტით მიითვალა. გურამ გოშთელიანთან ბრძოლისას საბა ხვადაგიანს ხელზე მოხვდა ბურთი და ამჯერად შოთა ნონიკაშვილმა დაარტყა 11-მეტრიანი – 2:0.

ბოლოს დინამოელებმა გიორგი მაისურაძის შორიდან გატანილით შეამცირეს სხვაობა – 2:1.

საბურთალოელებმა მიმდინარე ეროვნულ ლიგაში ორიდან ორი თამაში მოუგეს მოქმედ ჩემპიონს.

**სამტრედია-სამგურალი 0:2**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

**0:1 ლომინაძე (48), 0:2 ჩიხრაძე (90)**

**43-ე წუთზე კილასონიამ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)**

**სამტრედია:** ლომიძე, გვიშიანი (იოსელიანი 60), კილასონია, ბოჭორიშვილი, უბილავა, ოლატუნჯი (ექვთიმიშვილი 81), ხმალაძე, დ.კირკიტაძე (ინჯგია 60), პაპუნაშვილი (რობაქიძე 60), ნაჭყებია, ჩარგეიშვილი (ჩამბა 67)

**სამგურალი:** ყალიჩავა, კიკაბიძე (ა.ვერულიძე

გაგრძელება მე-7 გვერდზე

განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება: შეკრულობა (ყაბზობა, სველი და მშრალი კოლიტი), დიარეა, გასტრიტი, დისბაქტერიოზი, ენტერიტი, პარაზიტები, უსიამოვნო სუნი პირიდან. მხოლოდ მცენარეული საშუალებებით. მის: აღმაშენებლის №154. ექიმი – მზია. ტელ: 593 44 58 65.

● ძვალ-სახსართა სისტემის პრობლემების მოგვარება: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, კოქსართრიტი, ხრტილოვანი და ძვლოვანი სტრუქტურის აღდგენა. ტკივილის მოხსნა (საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე) სისხლის მიმოქცევის და ენდოკრინოლოგიური პრობლემების მოგვარება. ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ტელ: 599 96 44 94. მის: აღმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა), ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: აღმაშენებლის №154.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. აგრესია, შიშები, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, ძილის პროცესების დარღვევა, მოუსვენრობა, შფოთვა. ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 599 25 44 14. მის: აღმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ვილი სანიოლი მოახლოებული მატჩებისთვის მზადებას იწყებს

საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს ევრო 2024-ის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები ელის: ვილი სანიოლის გუნდი 17 ივნისს, ლარნაკაში კვიპროსს დაუპირისპირდება, ხოლო 20 ივნისს შოტლანდიის წინაალმდეგ გლაზგოში ითამაშებს.

გუნდი ამ მატჩებისთვის მზადებას 5 ივნისს დაიწყებს. მთავარმა მწვრთნელმა ამ ორი მატჩისთვის 25 ფეხბურთელი გამოიძახა.

ლეგიონერები, რომლებსაც საკლუბო მატჩები მიმდინარე და მომდევნო კვირის უქმეებზე აქვთ, თბილისში საწვრთნელ შეკრებას მოგვიანებით შეუერთდებიან.

**სანიოლის გამოძახებული ფეხბურთელების სია:**

**მეკარე:** გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლუკა გუგეშაშვილი (ყარაბაღი, აზერბაიჯანი);

**დაცვა:** გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), სოლომონ კვერკველია (ნეფთჩი, აზერბაიჯანი), ოთარ კაკაბაძე (კრაკოვია, პოლონეთი), ლუკა ლოჩოშვილი (კრემონეზე, იტალია), გიორგი გველესიანი (პერსეპოლისი, ირანი), ლაშა დვალი (აპოელი, კვიპროსი), ჯიმი ტაბიძე (დინამო თბ), ირაკლი აზაროვი (ცრვენა ზვეზდა, სერბეთი), გიორგი გოჩოლეიშვილი (შახტარი, უკრაინა);

**ნახევარდაცვა:** ნიკა კვეკვესკირი (ლეხი, პოლონეთი) ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), ვლადიმერ მამუჩაშვილი, სანდრო ალთუნაშვილი (ორივე დინამო ბთ), ლევან შენგელია (პანეთოლიკოსი, საბერძნეთი), ლუკა გაგნიძე (დინამო, რუსეთი), საბა ლობჟანიძე (ქარაგუმრუქი, თურქეთი), გიორგი ჩაკვეტაძე (სლოვანი, სლოვაკეთი), ზურიკო დავითაშვილი (ბორდო, საფრანგეთი);




**თავდასხმა:** გიორგი მიქაუტაძე (მეცი, საფრანგეთი), ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი, იტალია), ბუდუ ზივზივაძე (კარლსრუე, გერმანია), გიორგი ქვილითაია (აპოელი, კვიპროსი).

# ქვარაცხელია სერია ა-ს საუკეთესო ფეხბურთელია




ხვიჩა კვარაცხელია სერია ა-ს 2022-23 წლის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ხვიჩამ პირველივე სეზონში დიდ წარმატებას მიაღწია, გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახდა და ნაპოლის ჩემპიონობაში უდიდესი როლი ითამაშა.

საქართველოს ნაკრების 22 წლის თავდამსხმელი პირველი ქართველი ფეხბურთელია, რომელიც ტოპ 5 ლიგაში წლის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

რეიტინგი შედგენილი იყო გაფართოებული ანალიზის მიხედვით, რომელიც პროგრამული სისტემის ჩანაწერთა მონაცემებს ემყარება. სისტემა არა მხოლოდ სტატისტიკასა და ტექნიკურ-ტაქტიკურ მოქმედებებს, არამედ პოზიციურ მონაცემებსაც ითვალისწინებს. ეს საშუალებას იძლევა, გაანალიზდეს მნიშვნელოვანი ასპექტები: უბურთოდ მოძრაობა, პოზიციის შერჩევა, გუნდის ტექნიკურ და ფიზიკურ ეფექტურობაში შეტანილი წვლილი, საბოლოო ჯამში კი ობიექტურად და ხარისხიანად ადგენს შედეგს.

იმ ძირითად მახასიათებლებს შორის, რომელთა მეშვეობით კვარაცხელიამ კონკურენტებს აჯობა, შემდეგი მონაცემები სახელდება: ტექნიკური ეფექტურობის 94%-იანი დონე, რაც სერია ა-ს უკანასკნელი წლების რეკორდია და ევროპული კლასის საუკეთესო თავდამსხმელთა შესაბამისია.

საუკეთესო ფეხბურთელის ფორმას მუდმივად ინარჩუნებდა და ფიზიკურ ეფექტურობას 17 მატჩში გადააჭარბა – 95%.

**ლუიჯი დე სერვო, სერია ა-ს გენერალური დირექტორი:**

– ხვიჩა კვარაცხელიას გავლენა სერია ა-ზე შთამბეჭდავი იყო. ვულოცავთ ნაპოლის იმას, რომ იტალიაში ასეთი ტალანტი ჩამოიყვანა, რომელმაც პირველივე მატჩებიდან თავისი ტექნიკის, დრიბლინგის, ინდივიდუალობისა და შემოქმედითობის რეპერტუარი შემოგვთავაზა. 12 გოლითა და 10 საგოლე პასით „აძურის" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი იყო, რომელმაც სკუდეტო მოიგო და მრავალ გულშემატკივარსა და ლამაზი ფეხბურთის დამფასებლებს ოცნების უფლება მისცა.

საუკეთესო ფეხბურთელის გარდა, სერია ა-მ საუკეთესოები ამპლუების მიხედვითაც დაასახელა.

**საუკეთესო მწვრთნელი:** ლუჩანო სპალეტი (ნაპოლი);

**საუკეთესო 23-წლამდელი მოთამაშე:** ნიკოლო ფაჯოლი (იუვენტუსი);

**საუკეთესო მეკარე:** ივან პროვედელი (ლაციო);

**საუკეთესო მცველი:** კი მინ-ჯე (ნაპოლი);

**საუკეთესო ნახევარმცველი:** ნიკოლო ბარელა (ინტერი);

**საუკეთესო თავდამსხმელი:** ვიქტორ ოსიმენი (ნაპოლი);

**საუკეთესო ფეხბურთელი:** ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი).

# ეროვნულმა ლიგამ ნახევარი გზა გაიარა

დასაწყისი მე-6 გვერდზე

46), პატარკაციშვილი, მაისაშვილი, ბული, მ.ბაშელეიშვილი (ჯეფინიო 46), არტური, კაგაიამა (ქარიმოვი 86), ლომინაძე, გომესი (კალანდარიშვილი 65), ნიქაბაძე (ჩიხრაძე 65)

წყალტუბოს სამგურალმა სტუმრად 2:0 მოუგო სამტრედიას და მესამე ადგილზე დარჩა.

არადა, პირველი ტაიმის ბოლოს სამტრედიამ პენალტი ვერ გაიტანა: ვარლამ კილასონიას დარტყმული ნოდარ ყალიჩავამ მოიგერია. არავინ იცის, გოლი რომ გასულიყო, მეორე ტაიმში რა მოხდებოდა.

ასე კი მოხდა ის, რომ სამგურალმა ორჯერ გაიტანა: 48-ე წუთზე სამგურალის საყრდენმა ნოდარ ლომინაძემ შემდეგ საჯარიმოს მისადგომებიდან დაარტყა და ანგარიში გახსნა; მეორე ბურთი კი თავდამსხმელმა ლადო ჩიხრაძემ გაიტანა. ეს ჩიხრაძის მეშვიდე გოლია სეზონში და შვიდივეჯერ შეცვლაზე შესვლის მერე.

**დილა-თელავი 6:1**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

**1:0 გაგნიძე (6), 2:0 გეილი (11), 3:0 კოვტალიუკი (28), 4:0 გომისი (31), 4:1 აშორტია (45), 5:1 კოვტალიუკი (75), 6:1 გაგნიძე (77)**

**დილა:** კუჩერენკო, ჩიტეიშვილი (მახარობლიძე 79), ეტოუ, ძოწენიძე, სილვა (გაგოშიძე 79), ნ.გაგნიძე, სანტოსი, ჟან ვიქტორი (ფარულავა 71), გომისი (ასამოა 71), გეილი (გაფრინდაშვილი 66), კოვტალიუკი

**თელავი:** თანდილაშვილი, რომი, გიგაშვილი (კრისტიანი 46), ვ.ფაცაცია, ჟღენტი (ო.გაგნიძე 79), ფირანაშვილი, ნ.ნოზაძე (ქოჩლაძე 79), პარკინაშვილი, აშორტია, მბომბო (ყაველაშვილი 56), ლ.კოხრეიძე (ომარაშვილი 56)

გორის დილამ დიდი ანგარიშით სძლია თელავს და მეოთხე ადგილზეა. ქვემოქართლელებს 10-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვთ და ყველაზე ცოტა გაშვებული გოლი – 16.

მე-11 წუთზე უკვე 2:0 იყო: ჯერ ნიკა გაგნიძემ ახლოდან გაიტანა ტიერი გეილის აქტიურობის შედეგად, მერე კი თავად გეილმაც მიითვალა გოლი. ბარბადოსელ გარემარბს სეზონში უკვე 10 გოლი მოუგროვდა.

პირველივე ტაიმში მიკოლა კოვტალიუკმა ახლო კუთხეში დარტყმით გაზარდა სხვაობა, ხოლო მერე ონორე გომისმა დაასრულა თავისივე დაწყებული შეტევა – 4:0.

ტაიმის ბოლოს იმედა აშორტიამ ერთი ბურთით შეამცირა სხვაობა, თუმცა მეორე ნახევარში დილამ საქმე გააგრძელა და ექვს გოლამდე ავიდა. ისევ მიკოლა კოვტალიუკმა და ნიკა გაგნიძემ გაიტანეს.

თელავი 11 ქულით აუტსაიდერია.

**შუქურა-გაგრა 3:4**

**ანგისა. ჯონი ბაკურიძე**

**0:1 კაკაშვილი (14), 1:1 ჯანელიძე (34), 2:1, 3:1 მუჯირი (35, 38), 3:2, 3:3, 3:4 მუსელიანი (52, 55, 84პ)**

**შუქურა:** კულუა, კასრაძე, ლ.ქურდაძე, რ.ჩაჩუა, ანდრონიკაშვილი (აფხაზავა 90), ჩაკვეტაძე, ც.ფაცაცია (ლექვთაძე 76), სარდალიშვილი, ჯანელიძე – მზვაკალი, მუჯირი

**გაგრა:** ვორობეი, ხოსიტაშვილი, ლ.ნოზაძე, კაკუბავა, ნემსაძე (გ.ლაცაბიძე 36), სულთანიშვილი (შონია 46), შეწირული (ჟორდანია 46), შუბითიძე (პარკაძე 78), კაკაშვილი, მარკონდელე (ოდიშელიძე 66), მუსელიანი

შვიდგოლიანი მატჩი ბათუმში, ანგისაზე. გაგრას ბოლოს სწორედ ქობულეთის შუქურასთან ჰქონდა მოგებული 9 ტურის წინ, მას შემდეგ კი ცუდი სერია ჰქონდა, ზედიზედ 4 მატჩიც წააგო.

ჯერ გაგრა დაწინაურდა: კახაბერ კაკაშვილმა შორიდან დარტყმით გაუტანა ყოფილ გუნდს – 0:1.

თუმცა შუქურამ ოთხწუთიან მონაკვეთში სამი გოლი მიითვალა და სამივე კომბინაციური: ჯერ გიორგი ჯანელიძემ გაათანაბრა ახლო მანძილიდან. მერე კი დავით მუჯირმა ერთი და იგივე პოზიციიდან, დაახლოებით 12-13 მეტრიდან ორჯერ გაიტანა. ტაიმი 3:1 დასრულდა.

მეორე ნახევრის საწყის წუთებში ზურაბ მუსელიანმა ორი გოლი გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა. ჯერ თავურით, მერე კი ერთ შეხებაში ძლიერი დარტყმით – 3:3.

84-ე წუთზე კი მუსელიანმა პენალტი მოიპოვა, თავად გაიტანა და ჰეთ-თრიქი შეასრულა – 3:4.

გაგრა მეშვიდე ადგილზე გადავიდა, ქობულეთის გუნდი კი მერვეა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 18 | 11 | 6 | 1 | 38-20 | 39 |
| 2.საბურთალო | 18 | 11 | 5 | 2 | 40-19 | 38 |
| 3.სამგურალი | 18 | 11 | 3 | 4 | 30-22 | 36 |
| 4.დილა | 18 | 9 | 7 | 2 | 31-16 | 34 |
| 5.დინამო (თბ) | 18 | 9 | 4 | 5 | 41-28 | 31 |
| 6.ტორპედო | 18 | 5 | 6 | 7 | 16-22 | 21 |
| 7.გაგრა | 18 | 3 | 5 | 10 | 19-32 | 14 |
| 8.შუქურა | 18 | 3 | 3 | 12 | 25-39 | 12 |
| 9.სამტრედია | 18 | 3 | 2 | 13 | 14-32 | 11 |
| 10.თელავი | 18 | 2 | 5 | 11 | 12-36 | 11 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# საევროპოდ რამაზ სვანაძის განკარგულებაში 35 ფეხბურთელი იქნება

21 ივნისიდან 8 ივლისის ჩათვლით საქართველო და რუმინეთი ახალგაზრდულ ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებენ. მოახლოებული პრესტიჟული ტურნირის წინ ჩვენი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა რამაზ სვანაძემ გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. სიაში 35 ფეხბურთელია, ხოლო საბოლოო 23-კაციან განაცხადს მთავარი მწვრთნელი 16 ივნისს წარადგენს.

სიაში მყოფი რამდენიმე ფეხბურთელი ამ ეტაპზე ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული და 5 ივნისიდან კვიპროსისა და შოტლანდიის წინააღმდეგ საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებისთვის მოემზადება.

ეროვნული გუნდის ის ფეხბურთელები, რომლებიც 21-წლამდე გუნდის ევროპის ჩემპიონატის განაცხადში დასახელდებიან, ახალგაზრდულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის მეორე ტურის წინ, 22 ივნისიდან შეუერთდებიან.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას 10 ივნისიდან დაიწყებს, ტურნირის ჯგუფურ ეტაპს კი 21 ივნისს პორტუგალიასთან მატჩით გახსნის.

**ახალგაზრდული ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:**

**მეკარეები:** გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლუკა კუტალაძე (დინამო თბ), ლევან თანდილაშვილი (თელავი), ნოდარ ყალიჩავა (სამგურალი);

**მცველები:** ცოტნე კაპანაძე, ივა გელაშვილი, ჯემალ-გიორგი ჯინჯოლავა (ყველა საბურთალო), გიორგი გოჩოლეიშვილი (შახტარი, უკრაინა), სანდრო კალანდაძე, საბა ხვადაგიანი, გიორგი მაისურაძე (ყველა დინამო თბ), ირაკლი აზაროვი (ცრვენა ზვეზდა, სერბეთი), საბა საზონოვი (დინამო, რუსეთი), მათე აბულაძე (სამტრედია);




**ნახევარმცველები:** ოთარ მამაგეიშვილი, გიზი მამაგეიშვილი, შოთა ნონიკაშვილი (ყველა საბურთალო), გიორგი წიტაიშვილი (ლეხი, პოლონეთი), ნიკა ხორხელი, ლუკა ხორხელი, ნოდარ ლომინაძე (ყველა სამგურალი), გაბრიელ სიგუა, გიორგი მოისწრაფიშვილი, ანზორ მექვაბიშვილი (ყველა დინამო თბ), ნიკა გაგნიძე (დილა), ლუკა გაგნიძე (დინამო, რუსეთი), ზურიკო დავითაშვილი (ბორდო, საფრანგეთი), გიორგი ლომთაძე (გაგრა), ცოტნე ფაცაცია (შუქურა);

**თავდამსხმელები:** გიორგი გულიაშვილი (სარაევო, ბოსნია), ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი, იტალია), გიორგი გაგუა (უნიონი, ესპანეთი), გიორგი მიქაუტაძე (მეცი, საფრანგეთი), გიორგი კვერნაძე (დინამო ბთ), ლადო ჩიხრაძე (სამგურალი).

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სპეციალური გარიგება ბირჟაზე; 2. ნავთობის საბადო კახეთში; 3. საქართველოში გავრცელებული წითელმერქნიანი ძვირფასი წიწვოვანი ხე; 5. თაღლითი, ყალთაბანდი; 7. გერმანელი კომპოზიტორი, ოპერა „მფრინავი ჰოლანდიელის" მუსიკის ავტორი; 9. ფულადი ან ნატურალური გადასახადი, რომელსაც ომში დამარცხებული ქვეყანა უხდიდა გამარჯვებულს; 13. ისტორიული ფსიქიატრიული საავადმყოფო ლონდონში; 15. კავკასიის ალპურ ზონაში გავრცელებული ინდაური; 16. მსოფლიო თასის მფლობელი ქართველი მოფარიკავე მამაკაცი; 18. ჯეიმს ჯოისის რომანი.

**თარაზულად:** 4. სახელმწიფო ევროპაში; 6. დიდი თევზსაჭერი გემი; 8. სასარგებლო ნივთიერებებით გამდიდრებული პროდუქტი; 10. მეხსიერების დაქვეითება, დაკარგვა; 11. უნგრული ნაგაზი; 12. ფარული დაცინვა; 14. მომღერალი პოეტი მუსლიმანურ ქვეყნებში; 17. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 19. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი ან ვისკი; 20. ყველაზე წვრილი ფული ბრიტანეთში; 21. მრავალსიმიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 22. შეზღუდული ინტელექტის, ფარისევლური ქცევის მეწვრილმანე ადამიანი; 23. დაბალი რანგის დიპლომატიური წარმომადგენელი.



*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჟოლო; 2. ვისკი; 3. იმამი; 4. ნანტი; 5. შულერი; 6. რიტორიკა; 8. ინფანტერია; 10. მელანქოლია; 11. ჩახრუხაძე; 14. ფატუმი; 15. ოკრიბა; 16. პუნში.

**თარაზულად:** 1. ჟინვალი; 4. ნიშადური; 7. ლუქსი; 9. გიუმი; 12. ჩითილი; 13. უფიცა; 14. ფეიხოა; 17. მეტეხი; 18. კალიმანტანი; 19. მაკბეტი; 20. რაპირა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. გურიელი; 2. აფხაზეთი; 3. ეტალონი; 5. დუმპკარი; 7. ბულბული; 9. ინფანტინო; 13. დიუპონი; 15. დავოსი; 16. იბერია; 18. სპილო.

**თარაზულად:** 4. კუპიდონი; 6. რეფერატი; 8. ქინძმარაული; 10. ლებარდე; 11. ფინო; 12. ალონაჟი; 14. ოდინი; 17. სტეპი; 19. ცვილი; 20. კრეისერი; 21. ოსლო; 22. ყიზილბაში; 23. კოპტები.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge

5 ივნისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.6335 | ევრო — 2.8376 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3011 | 100 რუსული რუბლი — 3.2545 |

## ამინდის პროგნოზი 5 ივნისისათვის




ეროვნული ბიბლიოთეკა

# გვარდიოლა: „ჩემი ფეხბურთელებით ვამაყობ"

მანჩესტერ სიტიმ ინგლისის თასის ფინალში მანჩესტერ იუნაიტედი დაამარცხა 2:1 და უკვე მეორე ტიტული მოიგო. მატჩის შემდეგ მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ ის ამაყობს თავისი ფეხბურთელებით და სურს, რომ მათ ჩემპიონთა ლიგაც მოიგონ: „ძალიან ბედნიერი ვარ და მინდა, რომ სეზონი ტრიუმფალურად დავასრულოთ. წინ დიდი შეხვედრა გველის და ვიცით, რომ ამ მატჩისთვის განსაკუთრებით უნდა მოვემზადოთ. დღეს ზეიმის დროა და ყველა ჩემი ფეხბურთელით ძალიან ვამაყობ".

# ედენ აზარმა შესაძლოა კარიერა დაასრულოს

მადრიდის რეალის უკვე ყოფილმა ფეხბურთელმა ედენ აზარმა შესაძლოა კარიერა დაასრულოს, რადგან ის რეალიდან წასვლის შემდეგ თავისუფალი აგენტი გახდა და ახალი გუნდის მოძებნა უჭირს. ბოლო წლებში აზარი იშვიათად თამაშობდა სხვადასხვა მიზეზის გამო და რეალში გადასვლამ მის კარიერაზე ცუდად იმოქმედა. აზარმა აღიარა, რომ მას მაღალ დონეზე თამაში გაუჭირდება.

# რაფინია: „ბარსელონის დატოვებას არ ვაპირებ"



ბარსელონის ბრაზილიელმა ფორვარდმა რაფინიამ თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ გუნდის დატოვებას არ აპირებს და ბარსელონაში ძალიან ბედნიერია. რაფინიას თქმით, მალე ის გუნდთან ახალ კონტრაქტსაც გააფორმებს: „არ ვიცი, რატომ ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს ბარსელონას დავტოვებ, რადგან ეს ტყუილია. ბარსელონაში ბედნიერი ვარ და მინდა, ამ გუნდში დიდხანს ვითამაშო".

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ეროვნული კინოცენტრი გაგა ჩხეიძისთვის გოეთეს მედლის გადაცემას ეხმაურება

საქართველოს ეროვნული კინოცენტრი გოეთეს ინსტიტუტის სტატიას გამოეხმაურა, რომელიც გაგა ჩხეიძისთვის გოეთეს მედლის გადაცემას შეეხება:

– აუცილებლად მივიჩნევთ, საჯაროდ გამოვეხმაუროთ გოეთეს ინსტიტუტის მიერ მიმდინარე წლის 31 მაისს გამოქვეყნებულ სტატიას, რომელშიც საუბარია საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (კინოცენტრი) ყოფილი ხელმძღვანელის, გაგა ჩხეიძისთვის 2023 წლის გოეთეს მედლის გადაცემაზე.

სამწუხაროდ, სტატია შეიცავს მცდარ და ფარისევლურ ბრალდებას იმის შესახებ, თითქოსდა გაგა ჩხეიძე თანამდებობიდან გათავისუფლდა რუსეთ-უკრაინის ომში უკრაინის მხარდამჭერი საჯარო პოზიციისათვის. ამგვარი უტიფარი სიყალბე უსაფუძვლოდ აყენებს ჩრდილს კინოცენტრის, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტის რეპუტაციას და მან შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს და დააბნიოს საზოგადოება.

მკაფიოდ განვმარტავთ, რომ გაგა ჩხეიძე დაკავებული თანამდებობიდან 2022 წლის 18 მარტს გათავისუფლდა არა უკრაინის მხარდაჭერისათვის, არამედ საქართველოს კულტურის, სპორტისა. და ახალგაზრდობის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ მომზადებული „სსიპ საქართველოს კინე-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# იუმორი

ტელეფონით გაცნობის სამსახური გაიხსნა.

– ალო, გოგონი.

– დიახ, გისმენთ.

– თქვენი გაცნობა შეიძლება?

– დიახ, მხოლოდ საკუთარი თავი აღმიწერეთ...

– ვარ დაბალი, მსუქანი, პირგაუპარსავი, შეუხედავი!

– გივი, ეს შენ ხარ?

•••

ცნობილი გახდა, რომ არაბი შეიხის ასი ცოლიდან ერთი შიდსითაა დაავადებული. ამჟამად ცდილობენ გამოარკვიონ, რომელი.

ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის პრეზიდენტის აპარატში, ასი თანამშრომლიდან ერთი მტრულად განწყობილი სახელმწიფოს აგენტია. კონტრდაზვერვის სამსახური ცდილობს დაადგინოს, რომელი.

ჩვენი ქვეყნის მმართველს ასი მრჩეველი ჰყავს ეკონომიკის დარგში. ერთ-ერთი მათგანი ნამდვილად ერკვევა ეკონომიკაში. ამჟამად მიმდინარეობს იმის დადგენა, თუ რომელია.

•••

ორი მეგობარი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ბავშვობაში ვოცნებობდი, რომ გავზრდილიყავი დიდი და ჭკვიანი.

– მერე, აგისრულდა ოცნება?

– ნაწილობრივ... გავიზარდე.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# თათია შარანგია ჯვარს იწერს



პიანისტი და ტელეწამყვანი თათია შარანგია საყვარელ მამაკაცზე ჯვარს იწერს. მისი რჩეული ჯარჯი თორაძეა. თათია პირველ ქორწინებაში ლაშა შევარდნაძესთან იმყოფებოდა და მასთან 2 ბიჭი, ედუარდი და ალექსანდრე ჰყავს, მეორე ქორწინებაში, ბიზნესმენ სანდრო შელიასთან – 1 შვილი, ანდრია. ჯარჯი თათიას მესამე მეუღლეა. მათი ქორწილი 5 ივნისს გაიმართება.

**თათია შარანგია:**

– მინდოდა, ჩემი დაბადების დღე თქვენთან ერთად აღმენიშნა. ვერ ვახერხებ. ძალიან მტკივა გული, მაგრამ, ვიცი, მაპატიებთ, რადგან გიზიარებთ სასიხარულო და საპატიო მიზეზს. 5 ივნისს გვაქვს ქორწილი მე და ჯარჯის, ვიწერთ ჯვარს და ვაწერთ ხელს. ღმერთს ვთხოვ, ეს სიყვარული იყოს მარადიული და ოჯახი კი ქართული, ტრადიციული ღირებულებების მატარებელი.

თქვენთან შეხვედრას კი აუცილებლად მოვაწყობ და ბედნიერებას ვიზეიმებ თქვენთან ერთად სულ მალე.

# ლიზი ჩიჩუა და ირაკლი მაქაცარია ბიჭის მშობლები გახდნენ



ტელეწამყვანი ირაკლი მაქაცარია და მომღერალი ლიზი ჩიჩუა ბიჭის მშობლები გახდნენ.

პატარა გაგუას კლინიკაში დაიბადა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. ახალშობილს მშობლებმა გიორგი დაარქვეს.

ირაკლიმ სამშობიაროდან გამოსვლისას ემოციები ვერ შეიკავა და იტირა.

# რიანამ იაპონიაში დემნას სამოსით იპოზიორა



ბარბადოსელი მომღერალი რიანა იაპონიაში ვიზიტისას პაპარაცებმა ქართველი დიზაინერის დემნას სამოსით გადაიღეს.

ორსულ რიანას დემნას უახლესი კოლექციიდან ფეხსაცმელი და ლაბადა ეცვა. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ბარბადოსელი მომღერალი ქართველი დიზაინერის სამოსს ანიჭებს უპირატესობას.

# „მის და მისტერ თბილისი 2023" გამოვლენილია

სილამაზის კონკურსმა „მის და მისტერ თბილისი 2023" საუკეთესოები გამოავლინა.

„მის თბილისი 2023" მარიამ გიგოლაშვილი გახდა, „მისტერ თბილისი 2023" – მიხეილ ჯიბლაძე, „პატარა მის თბილისი 2023" – ელისაბედ მებონია, „ვიცე მის თბილისი" – საბინა შამაილოვა, „ვიცე მისტერ თბილისი" – მიშო გრძელიშვილი, „მისის თბილისი 2023" კი – სალომე უშხვანი.

**გიორგი მასხულია, კონკურსის ორგანიზატორი:**

– მე-12 წელია, რაც ჩემს საყვარელ საქმიანობას წარმატებით ვუძღვები, ქალაქის მთავარი კონკურსი „მის და მისტერ თბილისი 2023" ჩემი ორგანიზებით ჩატარდა, სადაც მოწვეული იყვნენ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, ცნობილი სახეები. მიყვარს ჩემი საქმიანობა და ვაკეთებ მას გულით. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი წინააღმდეგობა გამოვიარე ამ წლების განმავლობაში, რომ ყველა ჩემი მიზანი რეალობად მექცია, ეს არაფერია იმასთან, რაც წინ გველის.



...როცა მისვამენ კითხვას, ამ კონკურსით რა სიამოვნებას იღებო, მე თამამად და ამაყად ვპასუხობ, ყველა ჩემი მოწვეული სტუმარი, სპონსორი, მხარდამჭერი, ჟიურის წევრები – კმაყოფილი ტოვებს საღამოს, ასევე ჩემი კონკურსანტების ბედნიერ სახეს რომ ვხედავ, ეს არის ჩემი ყველაზე დიდი სიამოვნება. კეთილი იყოს თქვენი შემობრძანება ჩემს პატარა სამყაროში. წლები დამჭირდა იმისთვის, რომ ჩემი მიზნები რეალობად მექცია და ასეც მოხდა, მტერს ვასწავლე, რომ მათზე ძლიერიც არსებობს, მაქსიმალურად ვცდილობ, ჩემი საყვარელი საქმიანობა ყოველწლიურად წინ და წინ წავწიო.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

## 5 ივნისისათვის

**ვერძი** – საქმე მთელი გულით აკეთეთ. იყავით თვითმყოფადი. ახლობლებისაგან მეტი მხარდაჭერა გჭირდებათ. **კური** – დღეს მთავარია, ყურადღებით იყოთ და შეცდომა არსად დაუშვათ. მხოლოდ საკუთარი თავის იმედი იქონიეთ. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა. ფიზიკური დატვირთვა თქვენს ჯანმრთელობაზე დადებითად იმოქმედებს. **კირჩხიბი** – მიუხედავად მოულოდნელი ცვლილებებისა, მატერიალური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. საოჯახო საქმეებს ნუ დაივიწყებთ. **ლომი** – ნებისმიერ საქმეში არასტანდარტული მეთოდები გამოიყენეთ. ემოციური თვალსაზრისით რთული დღეა. **ქალწული** – უძრავ ქონებასთან დაკავშირებით პრობლემები იქმნება. კრიტიკული სიტუაციების ალბათობა იზრდება. **სასწორი** – ილუზიები, უნდობლობა, მოტყუება დღევანდელი დღის თანმდევია. ერიდეთ კომერციულ საქმიანობას. **მორიელი** – ენერგიულად ხართ. სასიცოცხლო პოტენციალი დიდია. გარშემომყოფებს შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ. **მშვილდოსანი** – ყოველგვარი კამათი, საქმის გარჩევა მაქსიმალურად აიცილეთ თავიდან. ეს დღე მშვიდ გარემოში გაატარეთ. **თხის რქა** – სერიოზული პროვოკაციებისთვის მზად იყავით. ასევე მოსალოდნელია რომანტიკული გატაცება. **მერწყული** – ეს დღე დიდი შინაგანი თავისუფლების შეგრძნებით გამოირჩევა. ფული გონივრულად ხარჯეთ. **თევზები** – დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. ავტორიტეტს გაუფრთხილდით. პრობლემების მოგვარებას რთულად, მაგრამ მაინც მოახერხებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. აბრეშუმის ჭია; 2. წიაღისეულის მომპოვებელი მიწისქვეშა საწარმო; 3. სატრფიალო პოეზიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 4. გემთმშენებელი საწარმო; 5. ავი, ანჩხლი დედაკაცი; 6. კუჭქვეშა ჯირკვლის ჰორმონი; 8. ქართველი მილიარდერი; ქველმოქმედი; 10. პოპულარული ზღვის კურორტი ხორვატიაში; 11. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 14. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ში; 15. შოტლანდიის ეროვნული გმირი; 16. მდინარე, ხეობა აფხაზეთში.

**თარაზულად:** 1. ქართველი კარდიოლოგი, აკადემიკოსი; 4. პორტუგალიური ვაზის ჯიში, რომლისგანაც ამზადებენ მადერას ტიპის ღვინოებს; 7. ორსართულიანი სახლის ზედა სართული ფშავ-ხევსურეთში; 9. ბალნეოლოგიური კურორტი ხონის რაიონში; 12. ღვინის ვაჭარი ძველად; 13. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 14. პატარა სასეირნო გემი; 17. ჩქარტემპიანი ამერიკული ცეკვა; 18. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 19. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 20. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

